პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

პარასკევი, 29 იანვარი 1937 წ. № 23 (4825)

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

„ჩვენი ქვეყანა უაღრესი, ნამდვილი ჰუმანიზმის ქვეყანაა. მაგრამ ჩვენი ხალხი დაუნდობელია მტრის მიმართ"—აი, ასეთია სოციალიზმის ქვეყნის მშრომელთა ერთსულოვანი პასუხი სისხლიანი ტროცკიზმის ნაბოლარების, ფაშისტ-დივერსანტების მავნებლურ-გამცემლურ მოქმედებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტროცკისტი-მავნებელი-დივერსანტი-ჯაშუში

ასულ უფრო-დაუფრო სრულიად იშლება ტროცკისტ-არამზადათა საზიზღარი და მოღალატური მუშაობის შემზარავი, შემაძრწუნებელი სურათი. პიატაკოვი და რადეკი ჩვენების მიცემისას სასამართლოში აშკარავებდნენ ტროცკიზმის „თეორიულ" გეზს გერმანიის ფაშიზმსა და იაპონიის სამხედრო-ფაშისტურ ხროვებთან პირდაპირი კავშირის შესახებ. შემდეგ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის წინაშე იშლება შპიონაჟის, დივერსიების, მკვლელობათა და ომის პროვოცირების ტროცკისტ „პრაქტიკოსთა" ბინძური, სისხლის სამართლისა და მოღალატური მუშაობა.

უკვე ხუთი წლის წინათ ბერლინში სმირნოვსა და პიატაკოვთან სედოვის მოლაპარაკების დროს ყალიბდება და ზუსტდება ტროცკისტების „ახალი უკანასკნელი კურსი". ეს არის უცხოეთის დაზვერვებთან პირდაპირი კავშირის კურსი ეკონომიური და სამხედრო შპიონაჟის, სსრ კავშირის სამრეწველო და თავდაცვითი ძლიერებისათვის ძირის გამოთხრის, დივერსიული აქტებისა და მკვლელობათა მოსაწყობად.

ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა. გაფთრებულ, გაცოფებულ სიძულვილს სსრ კავშირის ხალხებისადმი, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ, უძლურ გაბოროტებას საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ გარდუვალად მიჰყავდა ტროცკისტები მათ დანაშაულთა უკანასკნელ მიჯნასთან: კავშირთან ფაშისტური გერმანიისა და იაპონიის ჯაშუშურ დივერსიულ შტაბებთან. კაპიტალიზმის ტროცკისტი რესტავრატორები და უცხოეთის დაზვერვათა წარმომადგენლები უკვე დიდიხანია ეძებდნენ ერთმანეთს. მათ ერთმანეთი მონახეს ჯაშუშურ-დივერსიულ არალეგალობაში, ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს და სისხლიანი კავშირი შეჰკრეს.

დივერსანტმა, მავნებელმა და მკვლელმა ინჟინერმა შესტოვმა — დასრულებული ფაშისტ-დეგენერატის ამ შემზარავმა ტიპმა — სასამართლოში დაწვრილებით დაასურათა მოგვარებული თანამშრომლობის „ტექნიკა". ტროცკის შვილი ლევ სედოვი შესტოვს აცნობს გერმანელს მზვერავებს ფირმა „ფროლიხ - კლიუპფელ - დეილმანიდან". კუზბასში მომუშავე ტროცკისტული ორგანიზაციის სახელით შესტოვი უთანხმდება გერმანელ დივერსანტებს, რომლებიც ამ ფირმის ხელმძღვანელები იყვნენ, ვალდებულებას კისრულობს მიაწოდოს მათ ჯაშუშური ცნობები, ერთად მოაწყონ მავნებლური და დივერსიული მუშაობა. გერმანიის დაზვერვა თავის ახალ მოკავშირეებს იყენებს მავნებლური მუშაობისათვის საბჭოთა კავშირში. იგი ტროცკისტების კადრებთან აერთიანებს თავის ჯაშუშურ-მავნებლურ კადრებს. შესტოვი დაუყოვნებლივ ამყარებს კუზბასში კავშირს გერმანიის დაზვერვის მიერ ნაწილებ ჯაშუშ სტროილოვთან, ხოლო მისი საშუალებით იქ მომუშავე გერმანელ მავნებელთა და დივერსანტთა მთელ ჯგუფთან — შებესტოსა, ფლორენსა, კანსა, ბაუმგარტნერსა და სხვებთან. იწყება ტროცკისტებისა და გერმანელი მზვერავების ერთად „მუშაობა". ისინი ამოცანად ისახავენ ახალი საშახტო მშენებლობის ჩაშლას, ძველი შახტების რეკონსტრუქციის შეფერხებას. მიწისქვეშა ხანძრების მოწყობას და სხვ.. მათი საერთო მიზანია — გამანადგურებელი ლახვარი ჩასცენ არა მარტო კუზბასის შახტებსა და მაღაროებს, არამედ ურალისა და დასავლეთ-ციმბირის მთელ მეტალურგიასაც.

მავნებლები აღწევენ იმას, რომ, მაგალითად, პროკოპიევსკის მაღაროში ქვანახშირის დანაკარგი ჩვეულებრივი 15 — 20 პროცენტის ნაცვლად 50 და უფრო მეტ პროცენტამდე ადის. ამავე მაღაროში 1935 წლის დამლევს მოეწყო 60-მდე მიწისქვეშა ხანძარი. არამზადები ცდილობენ დინამიტით ააფეთქონ № 5 შახტის ტანი და ურნალი. შექმნილია დინამიტის ფარული საწყობი, რომელსაც შემთხვევით წააწყდნენ მაღაროელთა ბავშვები თამაშობის დროს. აფეთქებამ ბავშვები ნაკუწნაკუწად აქცია.

ინჟინერი სტროილოვი, რომელმაც შესტოვთან ერთად შეიმუშავა მავნებლური მუშაობის დაწვრილებითი გეგმა, გერმანელი მზვერავების საშუალებით დაკავშირებული იყო ერთი უცხო სახელმწიფოს ოფიციალურ წარმომადგენელთან. ამ „სასიამოვნო პირს", როგორც მის შესახებ გერმანელი ჯაშუშები ლაპარაკობდნენ, ტროცკისტ-მავნებელთა გეგმაში შეაქვს დამატებითი დავალებანი: ჩამოაგდონ შუღლი საბჭოთა და უცხოელ მუშებს შორის, გამოიწვიონ კონფლიქტები საწარმოებში, მოიპარონ ხოლმე უცხო სახელმწიფოსათვის საბჭოთა ტექნიკური გამოგონებანი. ტროცკის დივერსიულ-მავნებლური პროგრამა შეთანხმებულია უცხოეთის დაზვერვის მოთხოვნებთან.

კემეროვოს ქიმკომბინატის მშენებლობის უფროსი ნორკინი პიატაკოვთან ათანხმებს მავნებლობის დაწვრილებით გეგმას, ან, როგორც „სათუთი" პიატაკოვი თავაზიანად გამოსთქვამს, ძირითად დანასახებსა და მოსაზრებებს მავნებლური მუშაობის მოსაწყობად. იმავე დროს ნორკინი უკავშირდება გერმანიის ჯაშუშ რატაიჩაკს, რომელსაც ტროცკისტები რეკომენდაციას უწევენ, როგორც „თავის კაცს". ტროცკისტები და გერმანელი დივერსანტები, იყენებენ რა საერთაშორისო ავანტიურისტ ვეგინდარას, ჯაშუშს არნოლდ-ვასილიევს, კრიმინალური რომანის ამ პერსონაჟს, აწყობენ თავდასხმას ამხ. ორჯონიკიძეზე, ხოლო შემდეგ ამხ. მოლოტოვზე.

მავნებელი სერებრიაკოვი, რომელიც პიატაკოვმა დანიშნა ტრანსპორტზე დივერსიული მუშაობის ხელმძღვანელად, ადგენს რკინიგზებზე მავნებლობისა და დივერსიების „ტექნიკურად მოფიქრებულ" გეგმას. სერებრიაკოვის ხელმძღვანელობით დივერსიულ მუშაობას ეწეოდნენ ლივშიცი, არნოლდოვი, მიროვი და სხვები. ცნობილია, რომ არნოლდოვმა, მაგალითად, მოახერხა ვაგონ-შემკეთებელი ოთხი ქარხნის მშენებლობა წლინახევრის ნაცვლად სამ წლამდე გაეჭიანურებინა, მშენებლობის ღირებულება რამდენჯერმე გაედიდებინა.

თავის ჩვენებაში ძველმა ტროცკისტმა ლივშიცმა აღიარა კიდევ ერთი შემაძრწუნებელი ფაქტი, რომელსაც იგი მალავდა მთელი წინასწარი გამოძიების განმავლობაში. ლივშიცმა იცოდა, რომ ტროცკისტული ორგანიზაციის წევრები — გზის უფროსი კნიაზევი და გზის ხელმძღვანელი მუშაკი ტუროკი დაკავშირებული არიან იაპონიის დაზვერვის აგენტებთან. მან მისცა მათ დირექტივა შეენარჩუნებინათ და განეგრძოთ ეს კავშირი.

იაპონიის დაზვერვის აგენტმა, სამხრეთ-ურალის რკინიგზაზე არსებული ტროცკისტული ორგანიზაციის მეთაურმა კნიაზევმა სასამართლოში აჩვენა, რომ 1935-1936 წელს მან ამ გზაზე მოაწყო მატარებლების 13 — 15 დიდი მარცხი. რკინიგზის კატასტროფების დროს, 1935 წლიდან დაწყებული დივერსანტთა ტროცკისტული ბანდის დაპატიმრების მომენტამდე, ე. ი. 1936 წლის ოქტომბრამდე, მოკლულ იქნა 63 კაცი, დაშავდა 154. განსაკუთრებით გამცემლური და ვერაგული იყო სადგურ „შუმიხაზე" № 504 სამხედრო მატარებლის მარცხი, რომელიც მოაწყეს ტროცკისტმა დივერსანტებმა 1935 წ. 27 ოქტომბერს და რომლის დროსაც მოკლულ იქნა 29 წითელარმიელი, დაშავდა და დასახიჩრდა 29. ამ დივერსიების მოსაწყობად ტროცკისტმა ტუროკმა ტროცკისტ ლივშიცის თანხმობით იაპონიის მზვერავებისაგან მიიღო 35 ათასი მანეთი. ასე ვაჭრობდნენ ნაღდ ანგარიშზე ტროცკისტი მკვლელები ჩვენი წითელარმიელების სისხლით.

იგივე კნიაზევი თავის ჩვენებაში ამბობდა, რომ იაპონელები გასამრჯელოს აძლევდნენ უმთავრესად ტროცკისტული ორგანიზაციის ზედაფენას. ამასვე პირდაპირ ადასტურებდნენ თვითონ ტროცკისტ-ბანდიტთა მაღალი მფარველებიც. ერთი უცხო სახელმწიფოს ოფიციალური პირი, რომელიც ციმბირის გზით მიემგზავრებოდა, მის მისასალმებლად კუპეში შესულ კნიაზევს უხსნიდა: „ჩვენ... ერთმანეთს ვეხმარებით, მაშასადამე, ის, რაც თქვენ უნდა გთხოვოთ, სხვა არაფერია, თუ არა პასუხი იმ დახმარებაზე, რომელსაც ჩვენ ტროცკისტულ ორგანიზაციას ვუწევთ".

შპიონაჟი უდიდეს როლს თამაშობდა ტროცკისტების გამცემლურ მოქმედებაში. ისინი სარგებლობდნენ შპიონაჟით, როგორც სსრ კავშირის თავდაცვის უნარისათვის ძირის გამოთხრის საშუალებით, როგორც გერმანიისა და იაპონიის აგრესორებთან ომის შემთხვევაში ჩვენი სამშობლოს დამარცხების მომზადების საშუალებით. გერმანიის ჯაშუში რატაიჩაკი ფაშისტურ დაზვერვას აწვდიდა მთელი ჩვენი ქიმიური მრეწველობის გეგმებს. კნიაზევი, ტუროკი და ლივშიცი იაპონიის დაზვერვას აწვდიდნენ საიდუმლო ცნობებს ჩვენი ტრანსპორტის თავდაცვითი შესაძლებლობათა შესახებ.

ასეთია ტროცკისტული პროგრამა მოქმედებაში. ასეთია მეთოდები, რომელთა საშუალებით ტროცკი და მისი ბანდა ცდილობდნენ დაესუსტებინათ, სისხლიდან დაეცალათ ჩვენი სამშობლო, მთლად გაეცათ იგი ფაშისტ დამპყრობლებისათვის, გადაექციათ დიადი საბჭოთა ქვეყნის თავისუფალი ხალხნი გერმანიისა და იაპონიის იმპერიალიზმის კოლონიურ მონებად. არ ყოფილა ისეთი სისაძაგლე, არ ყოფილა ისეთი დანაშაული, რომლის წინაშეც ტროცკისტი ბანდიტები შეჩერებულიყვნენ.

სასამართლო გამოძიებამ სრული სიცხადით გვიჩვენა, რომ ერთი მუჭა ტროცკისტები სხვას არაფერს წარმოადგენენ, თუ არა დაქირავებულ მკვლელთა ჯაშუშურ ბანდას, გერმანიისა და იაპონიის ფაშიზმის დივერსიულ-მავნებლურ აგენტურას. საბჭოთა კავშირში მოსპობილი კაპიტალისტური კლასების ლეშის სუნი ასდით ბილწ და გათახსირებულ ტროცკისტ მახინჯებს.

საბჭოთა მართლმსაჯულება გასრესს ამ შხამიანი გველების გროვას. აღგვის მათ პირისაგან ჩვენი აყვავებული სოციალისტური სამშობლოს მიწისა.

„პრავდის" მოწინავე, 28/1.

20 იანვარს სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის სხდომაზე ორდენები დაურიგეს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დაჯილდოვებულ მუშაკებს. სურათზე: სსრ კავშირის ცაკის თავმჯდომარე ამხ. მ. ი. კალინინი აბარებს „საპატიო ნიშნის" ორდენს საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს ლადო კავსაძეს.

რესპუბლიკელები გმირულად იბრძვიან

მთავრობის ჯარების კონტრიერიში გერმანიის ჯარების ნაწილთა წინააღმდეგ

პარიზი, 27 იანვარი. (საქდესი). მადრიდის თავდაცვის კომიტეტის მიერ დღეს, შუადღისას გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია: „არანხუესის ფრონტზე, სადაც მეამბოხენი ავიაციის საგრძნობი ძალების დახმარებით ცდილობდნენ სამი დღის წინათ დაწყებული შეტევის განვითარებას, მოხდა გაფთრებული ბრძოლა. მეამბოხეთა სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად, რესპუბლიკელთა ჯარები საგრძნობ კონტრიერიშზე გადავიდნენ გერმანიის ჯარების ნაწილთა წინააღმდეგ, რომლებიც მეამბოხეთა არმიის მარცხენა ფრთას წარმოადგენენ, და მტერი აიძულა რამდენიმე კილომეტრით უკან დაეხია".

კავალერიის ნაწილები კორდოვაში აჯანყდნენ ფაშისტთა წინააღმდეგ

ბარსელონა, 26 იანვარი. (საქდესი). ცენტრალურ ფრონტზე მეამბოხეები ცდილობენ რესპუბლიკელთა ჯარების შევიწროებას არანხუესის რაიონში, სადაც თავმოყრილია გერმანიის ჯარები და ქვემეხები. მთავრობის არტილერიამ ხელი შეუშალა ფაშისტთა ჯარების წინსვლას.

კარაბანჩელის რაიონში გერმანელთა ნაწილებს დიდი ზარალი მოუვიდათ.

კორდოვის ფრონტზე მთავრობის ნაწილებმა იერიში მიიტანეს ლოპეროსა და პორკუნაზე (ანდუხარის სამხრეთით) და უკუაქციეს მეამბოხენი. მიღებული ცნობების თანახმად, კავალერიის ნაწილები კორდოვაში აჯანყდნენ ფაშისტთა წინააღმდეგ.

ფაშისტური შეთქმულების მონაწილეთა დაპატიმრება კატალონიაში

ლონდონი, 27 იანვარი. (საქდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით პოლიციამ დააპატიმრა კიდევ 16 კაცი, რომლებიც როგორც იუწყებიან, დაკავშირებული არიან ფაშისტების შეთქმულებასთან კატალონიაში. დაპატიმრებულთა საერთო რიცხვი 30 კაცს უდრის.

გერმანიის ფლოტის დახმარება მალაგის საჰაერო ბომბარდირებაში

ბარსელონა, 26 იანვარი. (საქდესი). დასტურდება, რომ მალაგის ბომბარდირება ხდებოდა გერმანიის სამხედრო ფლოტის დახმარებით. გერმანიის კრეისერმა „ადმირალმა გრაფმა შპეემ" შეარჩია ჰიდროთვითმფრინავები, რომლებიც ყუმბარებს უშენდნენ ქალაქს.

მეამბოხეთა მუქარა უცხოეთის ფირმების მიმართ

ლონდონი, 27 იანვარი. (საქდესი). ხილის მოვაჭრე ლივერპულელ ფირმებს ესპანელ მეამბოხეთა ხელისუფლების წარმომადგენლებმა განუცხადეს, აკრძალულია სოფლის მეურნეობისა და სამრეწველო საქონლის შესყიდვა ესპანეთის იმ რაიონებში, რომლებიც მეამბოხეების მიერ დაკავებული არ არისო. ამასთანავე მეამბოხეები რეპრესიებით იმუქრებიან „თანახმად სამხედრო კოდექსისა".

ფირმების წარმომადგენლებმა განაცხადეს, ჩვენ ყურადღებას არ მივაქცევთ მეამბოხეთა მუქარასა და განვაგრძობთ ფორთოხლის შესყიდვას ვალენსიის რაიონშიო.

მთავრობის კრიზისი იაპონიაში

უგაკისადმი იაპონიის სამხედრო ხელისუფალთა ოპოზიციის მიზეზები

ტოკიო, 27 იანვარი. (საქდესი). ეცდება რა სამხედრო ხელისუფალთა უარს წამოაყენონ კანდიდატი სამხედრო მინისტრის პოსტზე, „დომეი ცუსინის" სააგენტო აღნიშნავს, რომ უგაკისადმი სამხედრო ხელისუფალთა ოპოზიციის მთავარი მიზეზები მდგომარეობენ შემდეგში:

1. სამხედრო წრეებში ჰფიქრობენ, რომ „იმ მიზეზების ნახევარზე მეტ წყაროს, რომლებიც არმიის მთლიანობას ემუქრებიან, წარმოადგენს უგაკი"; მაშასადამე, უგაკის ჩადგომა ხელისუფლების სათავეში იმ დროს, როდესაც არმია წმენდას ატარებს, ხელს შეუშლის ამ წმენდის ნაყოფიერად ჩატარებას და შექმნის უაღრესად სერიოზულ მდგომარეობას.

2. უგაკი სამხედრო მინისტრის პოსტზე ყოფნის დროს ბევრ საბაბს იძლეოდა ეჭვისთვის, რომ მას განზრახვა აქვს გაატაროს დიქტატორული პოლიტიკა. ამიტომ ხელისუფლების სათავეში მის ჩადგომას შეუძლია მოგვცეს არასასურველი შედეგები. ამ მიზეზებთან ერთად, სწერს სააგენტო, სამხედრო წრეები უგაკის მთავრობის წინააღმდეგ ილაშქრებენ შემდეგი მნიშვნელოვანი მოსაზრებითაც: „სამხედრო წრეებში ჰფიქრობენ, რომ რეფორმათა ნამდვილი ძლიერი პოლიტიკა შეიძლება განხორციელდეს იმ პირმა, რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკური წრეების ამჟამად გაბატონებულ ძალებთან. უგაკი კი განუყრელად არის დაკავშირებული უმაღლეს პოლიტიკურ წრეებთან, არსებულ პოლიტიკურ პარტიებთან და ფინანსისტთა ხროვასთან. მაშასადამე, შეუძლებელია მოველოდეთ, რომ უგაკი შესძლებს გაატაროს იმ რეფორმათა პოზიტიური პოლიტიკა, რომლებსაც იმპერია ახლა ასე დაჟინებით საჭიროებს".

◇ ◇

შეთანხმება სიანის ბელადებსა და ნანკინს შორის

შანხაი, 27 იანვარი. (საქდესი). ჩინეთის პრესა იუწყება, რომ სიანის ბელადებსა და ნანკინის მთავრობას შორის მიღწეულია დროებითი შეთანხმება. ჩრდილოეთ - დასავლეთის პრობლემა საბოლოო გადასაჭრელად გადაეცემა გომინდანის მესამე პლენუმს.

„დაგუნბაო" ტუნგუანიდან (შენსისა და ხენანის პროვინციების საზღვარზე) იუწყება, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთის არმიის ნაწილებმა და ნანკინის ჯარებმა გუშინ ერთსადაიმავე დროს დაიწყეს უკან სვლა. ჩრდილო-აღმოსავლეთის არმიის ნაწილები მიდიან ჩრდილოეთისკენ, ხოლო ნანკინის ჯარები— სამხრეთისკენ.

◇ ◇

სოციალისტური ლიგის გარიცხვა ლეიბორისტული პარტიიდან

ლონდონი, 27 იანვარი. (საქდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, ლეიბორისტული პარტიის აღმასრულებელმა კომიტეტმა ხმის დიდი უმრავლესობით დაადგინა სოციალისტური ლიგა გარიცხოს ლეიბორისტული პარტიიდან. სოციალისტური ლიგის თავმჯდომარეა სტაფორდ კრიპსი. გადაწყვეტილება, ალბათ, გამოტანილია იმასთან დაკავშირებით, რომ სოციალისტურმა ლიგამ შეთანხმება დასდო კომუნისტურ პარტიასა და დამოუკიდებელ მუშათა პარტიასთან მოქმედების ერთიანობის შესახებ.

◇ ◇

მღელვარება იტალიელ მუშათა შორის

ლონდონი, 27 იანვარი. (საქდესი). გაზეთ „დეილი ტელეგრაფის" რომაელი კორესპონდენტი იუწყება, რომ იტალიელ მუშათა შორის მღელვარებაა ფასების ბოლოდროინდელ გადიდებასთან დაკავშირებით. კორესპონდენტის სიტყვით, საკვები პროდუქტების ფასები თითქმის 20 პროცენტით არის გადიდებული იმ დონესთან შედარებით, რომელიც არსებობდა ლირის დევალვაციამდე, ამ 4 თვის წინათ.

◇ ◇

გერმანიის მთავრობის განკარგულება

ბერლინი, 27 იანვარი. (საქდესი). მთავრობამ გასცა განკარგულება, რის თანახმადაც ყველა კერძო პირნი, რომელთაც მარაგში მოეპოვება პლატინა, ვერცხლი, სპილენძი, ტყვია, ნიკელი, კალა და თუთია, მოვალე არიან აღნიშნული ლითონები არა უგვიანეს 5 თებერვლისა ჩააბარონ სათანადო სახელმწიფო ორგანოებს, თუ ეს ლითონები მიჩნეული არ არიან სამრეწველო დაწესებულებების ან ვაჭრობისათვის. ამ ლითონების ჩაუბარებლობისათვის დამნაშავენი დაპატიმრებული და დაჯარიმებული იქნებიან.

ნავაშინის მოკვლა პარიზში

პარიზი, 27 იანვარი. (საქდესი). ჰავასის სააგენტოს ცნობით, 25 იანვარს პარიზის ბულონის ტყეში მოჰკლეს ემიგრანტი ვინმე ნავაშინი. ყველა გაზეთი ხაზს უსვამს, რომ ნავაშინი მოკლულია პოლიტიკურ ნიადაგზე. ნავაშინის პოლიტიკური დახასიათებისათვის მნიშვნელოვანია ორი მომენტი. „პოპულერი" ხაზს უსვამს, რომ ნავაშინი უკანასკნელ დროს აქტიურად ამჟღავნებდა გერმანიის ფაშიზმის ხრიკებს რუმინეთში, პოლონეთსა და ჩრდილო-ევროპის ქვეყნებში, და ვარაუდობს, რომ ნავაშინის მოკვლა გესტაპოს საქმეაო. „ტანი", თავის მხრით, აღნიშნავს, რომ ნავაშინი თავის დროზე დაახლოებული იყო პიატაკოვთან და სოკოლნიკოვთან — ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრის ხელმძღვანელებთან. ამასთან „ტანი" დასძენს, რომ საფუძველი გვაქვსო ვიფიქროთ, რომ ნავაშინი კარგად ინფორმირებული იყო ამ ცენტრის საქმიანობის შესახებ. ამ გარემოებასთან დაკავშირებით მთელი რიგი გაზეთები აღნიშნავენ იმის შესაძლებლობას, რომ გამომჟღავნების შიშით ნავაშინი ტროცკისტებმა მოჰკლესო.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით საინტერესოა ფრიად საეჭვო სიჩქარე, რასაც ტროცკი და მისი შვილი სედოვი იჩენენ „უარყოფით", რომელშიაც ისინი აღნიშნავენ, რომ დაინტერესებული არ იყვნენ ნავაშინის თავიდან მოცილებით. სიჩქარით ტროცკიმ და სედოვმა, ალბათ, ვერ მოასწრეს საკმაოდ შეეთანხმებინათ თავიანთი „უარყოფა", რის შედეგად ორივე „უარყოფა" სერიოზულად ეწინააღმდეგება ერთმანეთს, რასაც აღნიშნავენ პარიზის გაზეთები, სახელდობრ: სედოვი აცხადებს, რომ არც ის და არც ტროცკი არასოდეს არ შეხვედრიან ნავაშინს და არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონიათ მასთან. ტროცკი კი თავის „უარყოფაში" მოჰყავს ისეთი ცნობები ნავაშინის შესახებ, რომლებიც მოწმობენ იმას, რომ იგი მას კარგად იცნობდა.

◇

ჰიტლერი ახალი „პლებისციტის" მოწყობას აპირებს

ლონდონი, 26 იანვარი. (საქდესი). „დეილი ტელეგრაფის" ბერლინელი კორესპონდენტის ცნობით, საკოლონიო შეთანხმება გერმანიასა და პორტუგალიას შორის, როგორც ჰფიქრობენ, ფიქსირებულია ახალ კანონში, რომელიც გუშინ მიღებულ იქნა მთავრობის სხდომაზე. არის საფუძველი ვიფიქროთ, სწერს კორესპონდენტი, რომ ჰიტლერი აპირებს მოაწყოს ახალი „პლებისციტი", რომელშიც მთავარი კითხვა იქნებოდა კამპანია კოლონიებისთვის.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ნ. ი. ეჟოვისათვის სახელმწიფო უშიშროების გენერალური კომისრის სახელწოდების მიკუთვნების შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: მიეკუთვნოს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს ამხ. ნიკოლოზ ივანეს-ძე ეჟოვს სახელმწიფო უშიშროების გენერალური კომისრის სახელწოდება.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—მ. კალინინი.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი—ი. აკულოვი.

მოსკოვი, კრემლი.
1937 წ. 27 იანვარი.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება

სამხედრო-საჰაერო ძალთა ნაწილში სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილის შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დაწესდეს თანამდებობა სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილისა სამხედრო-საჰაერო ძალთა ნაწილში — იგივე მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო საჰაერო ძალთა უფროსის.

2. სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილედ სამხედრო-საჰაერო ძალთა ნაწილში და მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალთა უფროსად დამტკიცებულ იქნეს არმიის მე-2 რანგის სარდალი ამხ. იაკობ ივანეს-ძე ალკსნისი.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—მ. კალინინი.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი—ი. აკულოვი.

მოსკოვი, კრემლი.
1937 წლის, 27 იანვარი.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება

სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილის შესახებ საზღვაო ძალთა ნაწილში

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დაწესდეს სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილის თანამდებობა საზღვაო ძალთა ნაწილში — იგივე მუშურ-გლეხური წითელი არმიის საზღვაო ძალების უფროსის.

2. დამტკიცდეს სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილედ საზღვაო ძალთა ნაწილში და მუშურ-გლეხური წითელი არმიის საზღვაო ძალთა უფროსად ფლოტის პირველი რანგის ფლაგმანი ამხ. ვლადიმერ მიტროფანეს-ძე ორლოვი.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—მ. კალინინი.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი—ი. აკულოვი.

მოსკოვი, კრემლი.
1937 წლის 27 იანვარი.

ქ რ ო ნ ი კ ა

სსრ კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა გადაყვანილ იქნას თადარიგში სახელმწიფო უშიშროების გენერალური კომისარი ამხ. გ. გ. იაგოდა.

სსრ კავშირის კონსტიტუციისადმი მიძღვნილი გამოფენა

სტოკჰოლმი, 27 იანვარი. (საქდესი). „სსრ კავშირთან კულტურული და სამეცნიერო კავშირის საზოგადოებამ" შვეციაში მოაწყო გამოფენა, რომელიც მიძღვნილია საბჭოთა ახალი კონსტიტუციისა, საბჭოთა კავშირში დედათა დაცვისა და ბავშვებზე ზრუნვისადმი. გამოფენა გუშინ გაიხსნა. გახსნას დაესწრნენ სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი სტოკჰოლმში, საფრანგეთის, ესპანეთის, ჩეხოსლოვაკიის, ლატვიის, ლიტვის ელჩები და სხვ.

„სვენსკა მორგენბლადეტი", „სოციალ-დემოკრატენი" და სხვა გაზეთები აღნიშნავენ, რომ გამოფენა იძლევა საბჭოთა კავშირის განვითარების საინტერესო სურათს.

◇ ◇

საკითხი ალექსანდრეტის სანჯაყის შესახებ ერთა ლიგის საბჭოში

ჟენევა, 27 იანვარი. (საქდესი). დღეს ერთა ლიგის საბჭოს სხდომაზე დამტკიცდა შვეციის საგარეო საქმეთა მინისტრის სანდლერის მოხსენება ალექსანდრეტის სანჯაყისათვის ავტონომიის მინიჭების შესახებ. მოხსენების დამტკიცებას წინ უსწრებდა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ თევფიკ რუშტი არასის და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ დელბოსის სიტყვები. დელბოსმა აღნიშნა იმის მნიშვნელობა, რომ შეთანხმება მიღწეულია არა ძველი დიპლომატიური მეთოდებით, არამედ ერთა ლიგის საშუალებით. ანალოგიური განცხადებებით გამოვიდნენ რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ანტონესკუ და დიდბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იდენი.

ამის შემდეგ სიტყვა აიღო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ლიტვინოვმა, რომელმაც განაცხადა:

„ჩვენ მიერ განხილული დავა საფრანგეთსა და თურქეთს შორის ეკუთვნის საკითხების იმ კატეგორიას, რომლის თაობაზე ჩემმა მთავრობამ გააკეთა საერთო შენიშვნები ერთა ლიგაში შესვლისას მანდატების სისტემასთან თავისი განსაკუთრებული დამოკიდებულების გამო. მიუხედავად ამისა ამ დავამ თავისი წარმოშობის პირველი მომენტიდან მიიპყრო ჩემი მთავრობის განსაკუთრებული ყურადღება და ინტერესი, რადგან დავა ეხებოდა ორ სახელმწიფოს, რომელთანაც ჩემს ქვეყანას მეტად მჭიდრო ურთიერთობა აქვს: ერთი მხრივ არის თურქეთი, რომელთანაც საბჭოთა კავშირს თითქმის თავისი წარმოშობის დასაწყისიდანვე უაღრესად გულწრფელი მეგობრობა და თანამშრომლობა აქვს. მეორე მხრივ არის საფრანგეთი, რომელთანაც საბჭოთა კავშირს აქვს ამდენი საერთო ინტერესები ევროპის მშვიდობიანობის განმტკიცების საქმეში და რომელთანაც იგი დაკავშირებულია ურთიერთდახმარების პაქტით.

ბუნებრივია, ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი მეგობრებიც პოულობდნენ ერთმანეთში მეგობრობის ენასა და პრაქტიკას. ამ ორ ქვეყანას შორის წარმოშობილ დავას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო არ შეეწუხებინა და შეეშფოთებინა ჩემი მთავრობა. მაგრამ, მან თავის დროზე ღრმა კმაყოფილების გრძნობით შეიტყო, რომ ორივე მთავრობამ დავა გადასაჭრელად გადასცა ერთა ლიგას და რომ ისინი მზად არიან გადასჭრან დავა იმ გზით, რომელსაც არ შეიძლება არ დაადგნენ ქვეყნები, რომელნიც თავის საგარეო პოლიტიკას მშვიდობიანობის განმტკიცებისა და კოლექტიური უშიშროების პრინციპებზე აგებენ. ჩვენ ეჭვი არ გვეპარებოდა იმაში, რომ ამ გზას მოჰყვებოდა დავის სამართლიანი და ორთავე მხარისათვის დამაკმაყოფილებელი გადაჭრა. დღეს მე გამოვთქვამ ჩემს უდიდეს სიხარულს, რომ ჩვენი მოლოდინი გამართლდა და რომ ჩვენ შეგვიძლიან ერთა ლიგის კრედიტში ჩავწეროთ დავის მოგვარება, რომელიც, იმედი მაქვს, კიდევ უფრო მჭიდრო ურთიერთობას დაამყარებს მოდავე მხარეებს შორის. მე მხურვალედ მივულოცავ ამ ბედნიერ შედეგს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ დელბოსს, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ თევფიკ რუშტი არასს და ყველა თანამშრომელს, რომელნიც მათ ამ საქმეში ეხმარებოდნენ, აგრეთვე შვეციის წარმომადგენელს სანდლერს, რომელმაც მათ თავისი ძვირფასი დახმარება გაუწია".

სანდლერის საპასუხო სიტყვის შემდეგ გამოვიდა თავმჯდომარე ჩინეთის დელეგატი, ველინგტონ კუ, რომელმაც ორივე მხარეს მიულოცა და აღნიშნა ის პატივისცემა, რომელიც მათ გამოიჩინეს ერთა ლიგის წესდების პრინციპებისადმი.

ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრის პროცესი

26 იანვრის საღამოს სხდომა

ბრალდებულ არნოლდის დაკითხვა

ვიშინსკი: ბრალდებულო არნოლდ, რა არის თქვენი ნამდვილი გვარი, სახელი და მამის სახელი?

არნოლდი: ვასილიევი, ვალენტინ ვასილის-ძე.

ვიშინსკი: რატომ უწოდებთ თქვენს თავს ვალენტინ ვოლფრიდის-ძეს?

არნოლდი: როცა ამერიკის მოქალაქეობას ვღებულობდი, დოკუმენტებით ვითვლებოდი აიმო ვოლფრიდად.

ვიშინსკი: თქვენ ამერიკის მოქალაქე ხართ თუ საბჭოთა მოქალაქე?

არნოლდი: ამჟამად საბჭოთა მოქალაქე.

ვიშინსკი: ამერიკაში თქვენ მოხვდით როგორც საბჭოთა მოქალაქე, თუ როგორც ამერიკელი მოქალაქე?

არნოლდი: მე იქ მოვხვდი როგორც ფინეთის მოქალაქე.

ვიშინსკი: მაშასადამე, თქვენ ამერიკაში ჩახვედით სხვისი დოკუმენტებით. ხოლო დაბადებისას რა გვარს ატარებდით?

არნოლდი: მას შემდეგ, რაც მე სკოლაში დავიარებოდი, ვასილიევად ვითვლებოდი.

ვიშინსკი: სად დაიბადეთ და რა გვარი არიან თქვენი მამა და დედა?

არნოლდი: დავიბადე ლენინგრადში, მამაჩემის გვარი იყო ეფიმოვი, ხოლო დედის ივანოვა.

შემდეგ ბრალდებული არნოლდი აჩვენებს, რომ ფინლანდიიდან კარლ რასკის სახელით იგი გაემგზავრა გერმანიაში. ჰამბურგში დაჰყო 3-4 თვეს და განიზრახა ამერიკაში გამგზავრება. მაგრამ გზაზე პოლიციამ დააკავა იგი და რუსეთში დააბრუნა.

ვიბორგში ის მუშაობდა 1914 წლამდე, ხოლო შემდეგ გაემგზავრა ჰელსინგფორსს, დაიწყო მუშაობა სვეაბორგის ნავსადგურში ვასილიევის გვარით, ხოლო რასკა ჯერჯერობით ჯიბეში ჩაიდო.

ომი რომ დაიწყო, ბრალდებულ არნოლდს არ უნდოდა არმიაში წასვლა. მას ჰქონდა დოკუმენტები რასკის სახელზე, გაიქცა შვეციაში, ხოლო იქიდან ნორვეგიაში. 1915 წელს იგი დაბრუნდა რუსეთში და წაიყვანეს არმიაში ვასილიევის გვარით. თვენახევრის შემდეგ ის გაიქცა არმიიდან ჰელსინგფორსში. იქ იგი დაიჭირეს. 1916 წელს, მიიღო რა შეღავლება, არნოლდი გაემგზავრა ფინლანდიაში, მოტყუების გზით მიითვისა დოკუმენტები აიმო კულპენენის სახელზე და გაემგზავრა მინსკს. მინსკში იგი მუშაობდა თარჯიმნად, საქმის მწარმოებლად, მოიტაცა რამდენიმე სამხედრო სარკინიგზო სამგზავრო დოკუმენტი და გაემგზავრა ვლადივოსტოკს, ვლადივოსტოკიდან — არხანგელსკს, ხოლო იქიდან გაემგზავრა ნიუ-იორკში და ამერიკის არმიაში შევიდა. მან მიიღო ამერიკის მოქალაქეობა და შეიცვალა სახელი და გვარი ვალენტინ არნოლდად.

ვიშინსკი: რამდენ ხანს იჯექით იქ საპყრობილეში?

არნოლდი: ხუთ-ექვს თვეს.

ვიშინსკი: რატომ?

არნოლდი: დამწამეს სახაზინო ქონების მითვისება.

შემდეგ ბრალდებული არნოლდი აჩვენებს, რომ 1923 წელს გაემგზავრა კალიფორნიაში, გაიცნო „საბჭოთა რუსეთის ტექნიკური დახმარების საზოგადოებაში" მყოფი რუსები და მათი დახმარებით ჩამოვიდა კემეროვოში.

ვიშინსკი: ხომ არ ყოფილხართ მასონთა ლოჟის წევრი?

არნოლდი: ვიყავი.

ვიშინსკი: რატომ მასონთა ლოჟისა და არა სხვა რომელიმესი?

არნოლდი: გზას ვიკაფავდი საზოგადოების მაღალი ფენებისაკენ (საერთო სიცილი დარბაზში).

ვიშინსკი: საკ. კ. პ. (ბ)-ში თქვენ შეხვედით, როცა ამერიკიდან ჩამოხვედით?

არნოლდი: პარტიაში შევედი 1923 წელს.

ვიშინსკი: და ამ დროს თქვენ რჩებოდით მასონად?

არნოლდი: კი, მაგრამ მე ამას არავის არ ვეუბნებოდი.

ვიშინსკი: ყოფილა თუ არა შემთხვევა, რომ ანტისაბჭოთა აგიტაციისათვის თქვენ მიცემული ყოფილიყავით პასუხისგებაში ან პარტიიდან გამორიცხეთ?

არნოლდი: ეს იყო კუზნეცკში 1930 წელს. თითქმის გამომრიცხეს, სამუშაოდან მომხსნეს.

ვიშინსკი: როდის დაუახლოვდით ტროცკისტებს?

არნოლდი: 1932 წელს, როცა პროკოპიევსკში ვმუშაობდი, დავუახლოვდი შესტოვს.

ვიშინსკი: რისთვის დაგითხოვეს კუზნეცკმშენიდან?

არნოლდი: ანტისაბჭოთა პროპაგანდისათვის უცხოელ სპეციალისტებს შორის.

ვიშინსკი: მან ეს იცოდა?

არნოლდი: იცოდა. ასევე იცოდა, რომ მე ვეკუთვნოდი პარტიისათვის უცხო ორგანიზაციას, მასონებს. მან იცოდა, რომ მე რამდენჯერმე გამოვიცვალე გვარი.

ვიშინსკი: როდის გაგაცნოთ მან თავისი დანაშაულებრივი გეგმები, თავისი დანაშაულებები?

არნოლდი: მე ხშირად დავიარებოდი მის კაბინეტში. იგი მეუბნებოდა: „მე დიდი ხანია შემეძლო მეცნობებინა შენს შესახებ სათანადო ორგანოებისათვის, მაგრამ მე ვფიქრობ, შენ ჩვენი ორგანიზაციის კარგი წევრი იქნებიო".

ვიშინსკი: მერე რა?

არნოლდი: მერე მან მითხრა, რომ მე მეკისრება ამოცანა შევასრულო ტერორისტული აქტები, და დამაკავშირა ჩერეპუხინთან.

ვიშინსკი: რა აქტებს ამზადებდით?

არნოლდი: პირველ ტერორისტულ აქტს — 1934 წელს ორჯონიკიძის წინააღმდეგ.

ვიშინსკი: რაში გამოიხატებოდა იგი?

არნოლდი: ჩერეპუხინმა მაცნობა: „ხვალ ჩამოდის ორჯონიკიძე, იცოდე, შენ უნდა შეასრულო ტერორისტული აქტი, მიუხედავად ყველაფრისა". მე ეს წინადადება მივიღე. მეორე დღეს მე წავიყვანე მანქანა, რადგან მე, როგორც გარაჟის უფროსი, როგორც პარტიის წევრი, ყოველგვარ ეჭვს გარეშე ვიმყოფებოდი. წავიყვანე მანქანა მატარებლის მოსვლისას. მასში ჩასხდნენ ორჯონიკიძე, ეიხე და რუხიმოვიჩი. მე წავიყვანე ისინი გერმანელთა კოლონიაში, ხოლო იქიდან მათ მთხოვეს წავსულიყავით ტირგანში. შემდეგ შევჩერდით № 7-8-9 კომპლექსურ შახტთან. და აი, როცა მთიდან ვეშვებოდი, გავავითარე საკმაოდ დიდი სიჩქარე, 70—80 კილომეტრი საათში, და, დაახლოვებით ერთნახევარი კილომეტრის იქით დავინახე დაბრკოლება. მე მაშინვე გავიფიქრე, რომ ეს იყო სწორედ ის ადგილი, სადაც ავარია უნდა მომხდინა. მე არ ვიცოდი, რა ადგილი იყო ეს, არ ვიცოდი, რა შემემთხვეოდა... ამიტომ შევანელე სიჩქარე, სწრაფად შევჩერდი, ხოლო შემდეგ ხიდისაკენ, მარცხნივ გადავუხვიე, უნდა წავსულიყავი კი პირდაპირ.

ვიშინსკი: ვერ გაბედეთ?

არნოლდი: ვერ შევძელი ამის ჩადენა.

ვიშინსკი: ვერ შესძელით, ვერ გაბედეთ? ეს ჩვენი ბედი ყოფილა. მეორე შემთხვევა?

არნოლდი: დილით ჩემთან კანტორაში მოდის ჩერეპუხინი და მეუბნება: „დღეს მოვა მოლოტოვი. აბა, კიდევ არ წაახდინო საქმე". ვუპასუხე, ვიზამ მეთქი. როცა მანქანა მატარებელთან მივიყვანე, მანქანაში ჩასხდნენ მოლოტოვი, პარტიის რაიკომის მდივანი კურგანოვი და სამხარეო აღმასკომის თავმჯდომარე გრიადინსკი... სასოფლო გზიდან გზატკეცილზე რომ გამოვედით, მოულოდნელად ჩემს პირდაპირ მოქროდა მანქანა. აქ უკვე ფიქრის დრო არ მქონდა, უნდა მომეხდინა ტერორისტული აქტი. მაშინ მე მივხვდი, რომ ჩერეპუხინი არ მენდო, გამოგზავნა მეორე მანქანა. მაგრამ შევშინდი... მე მოვასწარი მანქანას მობრუნება განზე, თხრილისაკენ და ამ დროს ხელი მტაცა გრიადინსკიმ და მითხრა: „რას სჩადიხარ?"

ვიშინსკი: რამ შეგაჩერათ აქ?

არნოლდი: აქ მე სიმხდალემ შემაჩერა...

დამცველი კაზნაჩეევი (მიმართავს არნოლდს): გთხოვთ დააზუსტოთ რა ხნის განმავლობაში ირიცხებოდით ტროცკისტულ ორგანიზაციაში?

არნოლდი 1932 წლიდან 1934 წლამდე.

კაზნაჩეევი: როცა ტერორისტული აქტის ჩადენის დავალებებს გაძლევდნენ, გაფრთხილებდნენ თუ არა, რომ თუ არ შეასრულებთ, თქვენი სიცოცხლე საფრთხეში იქნებაო?

არნოლდი: ჩერეპუხინი და შესტოვი მეუბნებოდნენ: ღალატისათვის გაგაქრობთო.

კაზნაჩეევი: როდესაც ტროცკისტულ ორგანიზაციაში შეჰყავდით, ელემენტარული წარმოდგენა მაინც გქონდათ მათ პროგრამაზე?

არნოლდი: მე დამარწმუნეს, რომ ტროცკისტული ორგანიზაცია ძლიერია, რომ იგი სათავეში მოექცევა ხელისუფლებას და მე უკანასკნელ რიგებში არ დავრჩები.

ბრალდებულ ლივშიცის დაკითხვა

ვიშინსკი: როდის გაანახლეთ თქვენი არალეგალური ტროცკისტული დანაშაულებრივი საქმიანობა?

ლივშიცი: ლოგინოვი 1932 წლის დამდეგს ბერლინიდან რომ დაბრუნდა გადმომცა პიატაკოვთან შეხვედრების ამბავი, აგრეთვე გამაცნო ის ახალი გზა, რომელიც მან პიატაკოვისაგან მიიღო. 1932 წლის მეორე ნახევარში შევხვდი პიატაკოვს და მან გამიმეორა არსებითად იგივე, რასაც ლოგინოვი მეუბნებოდა.

ვიშინსკი: ტერორზედაც ლაპარაკობდა?

ლივშიცი: ტერორზე და დამნგრეველ მუშაობაზე. მასთან საუბრის შემდეგ დავთანხმდი განვეახლო აქტიური ბრძოლა.

ვიშინსკი: რა თანამდებობა გეკავათ მაშინ?

ლივშიცი: სამხრეთის რკინიგზების უფროსის თანამდებობა.

ვიშინსკი: მერე რა მოჰყვა ამას?

ლივშიცი: მერე, როდესაც ხარკოვში ჩავედი, მოველაპარაკე ჩემს მოადგილეს ზორინს. მას ვიცნობდი როგორც მალულ ტროცკისტს. პიატაკოვთან საუბრის დროს ჩვენ შევთანხმდით, რათა მუშაობა დაგვეწყო იმით, რომ არ უზრუნველგვეყო ქვანახშირის სრული დატვირთვა.

ვიშინსკი: ესე იგი თქვენ დაიწყეთ პროგრამის ჩაშლით.

ლივშიცი: დიახ. ქვანახშირს სრულიად არა ვტვირთავდი, ვაგონებს მეორეხარისხოვანი ტვირთისათვის ვიყენებდი.

ვიშინსკი: რა ხნის განმავლობაში სჩადიოდით ამას.

ლივშიცი: 1933 წლის ზამთრის განმავლობაში. 1932 წლის დამლევს შევხვდი პიატაკოვს და ვუამბე, რაც ხდება გზაზე. მან კი მითხრა, რომ არსებობს გაერთიანებული ცენტრი და არსებობს სათადარიგო, აგრეთვე წოდებული, პარალელური ცენტრი.

იქვე მან მითხრა, რომ ცენტრის წევრს სერებრიაკოვს დაკისრებული აქვს რკინიგზის ტრანსპორტზე მავნებლური კონტრრევოლუციური მუშაობის ხელმძღვანელობა და წინადადება მომცა დავკავშირებოდი მას.

ვიშინსკი: თქვენ დაუკავშირდით სერებრიაკოვს?

ლივშიცი: დავუკავშირდი. 1933 წლის დამლევს თუ 1934 წლის დამდეგს. ამ დროს უკვე ჩრდილო-კავკასიის რკინიგზის უფროსად ვიყავი. მაშინ სერებრიაკოვმა მითხრა, რომ ტრანსპორტზე მავნებლურ მუშაობაში ა. მ. არნოლდოვი, მირონოვი ჩავაბით. დაასახელა მან აგრეთვე როზენცვეიგი და მირსკი. იგი აგრეთვე ამბობდა, რომ არნოლდოვი სერებრიაკოვის დავალებით ატარებს მავნებლურ მუშაობას ტვირთზიდვის გეგმის ჩასაშლელად. შემდეგ არნოლდოვი ატარებდა მუშაობას სავაგონო მეურნეობის ჩასაშლელად. სწორედ მაშინ სწყდებოდა ვაგონების სარემონტო ოთხი ქარხნის მშენებლობის საკითხი. არნოლდოვმა საქმე იმნაირად მოაჩვენა, რომ თვითეული ქარხანა დაჯდება 15—20 მილიონი მანეთი და რომ წლინახევრის განმავლობაში შესაძლებელი იქნება მათი აგება და ამუშავება. ბოლოს, აღმოჩნდა, რომ თვითეული ქარხანა 50 მილიონ მანეთზე მეტი დაჯდა და შენდებოდნენ დაახლოვებით 3 წელიწადს.

ვიშინსკი: შეგნებულად აჭიანურებდით?

ლივშიცი: დიახ. ჩრდილო-კავკასიის გზაზე მე მუშაობაში ჩავაბი რამდენიმე კაცი, მათგან კოლოკოლკინი — ყოფილი უფროსი როსტოვის ექსპლოატაციის განყოფილების პოლიტგანყოფილებისა, შემდეგ კი ჩრდილო-კავკასიის გზის პოლიტგანყოფილების უფროსი.

ვიშინსკი: გქონდათ თუ არა თქვენ ლაპარაკი კოლოკოლკინთან სხვა მიზნებსა და ამოცანებზე, გარდა მავნებლობისა?

ლივშიცი: კოლოკოლკინთან მე ყველაფერზე მქონდა ლაპარაკი, შემდეგ გადამიყვანეს მოსკოვში მოსკოვ-კურსკის რკინიგზაზე. იქ ცოტახანს დავრჩი. შემდეგ დამნიშნეს გზათა სახალხო კომისარიატში სახალხო კომისრის მოადგილედ.

ვიშინსკი: როცა გზათა სახალხო კომისრის მოადგილედ იყავით, განაგრძობდით თუ არა კავშირს ტროცკისტულ ორგანიზაციასთან და მავნებლურ მუშაობას?

ლივშიცი: განვაგრძობდი. მოსკოვში რომ ჩამოვედი, შევხვდი პიატაკოვს. ჩვენ საუბრები გვქონდა იმაზე, რომ ახლა ტრანსპორტზე კაგანოვიჩი მისწვდება ყველა წვრილმანს, რომლებიც ხელს უშლიან მუშაობას. პიატაკოვი წინადადებას იძლეოდა უფრო აქტიური გაგვეხადა მავნებლური მუშაობა, ვინაიდან გზათა სახალხო კომისარიატში კაგანოვიჩის მოსვლის უკვე პირველი თვეებიდანვე ტრანსპორტმა იწყო მძაფრი აღმავლობა. მაშინვე პიატაკომა წინადადება მომცა ერთხელ კიდევ მენახა სერებრიაკოვი და მასთან ერთად განვეხილა, თუ რა უნდა ვაკეთოთ. მე ვესაუბრე სერებრიაკოვს და მან ამოცანად დასახა — ჩავშალოთ კაგანოვიჩის იმ ბრძანების შესრულება, რომელიც სახავს რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესების გზებს. 1935 წელს მე დამიკავშირდნენ მირონოვი, მირსკი, ფუფრიანსკი, შემდეგ 1936 წელს — როზენცვეიგი. მათ ჰქონდათ მითითებანი სერებრიაკოვისაგან და მე მათ განვუმეორე დავალება — ჩავშალოთ ბრძანება № 183, რომელიც სახავს რკინიგზების მუშაობის გაუმჯობესების ძირითად ღონისძიებებს.

ვიშინსკი: რა ამოცანას ისახავდით თქვენ?

ლივშიცი: ტრანსპორტის მუშაობის გართულებასა და გაძნელებას.

ვიშინსკი: რა ურთიერთობა გქონდათ თქვენ კნიაზევთან?

ლივშიცი: სანამ კნიაზევზე ვალაპარაკოდეთ, მე მინდა განვუცხადო სასამართლოს შემდეგი: წინასწარი გამოძიების დროს მე უარვყოფდი... (პაუზა) უარვყოფდი ერთერთ ქალიან საზიზღარ რამეს...

ვიშინსკი: სახელდობრ.

ლივშიცი: შპიონაჟის საკითხებს. ამავე მოსაზრებებით წინასწარი დაკითხვის დროს უარვყოფდი ჩემს კავშირს ბრალდებულ ტუროკთან. მე მინდა სასამართლოს ვუამბო ყველაფერი ბოლომდე, მიუხედავად იმისა, რომ ეს — უმძიმესი დანაშაულია, რომელსაც სამშობლოს ღალატი ეწოდება. მინდა ვუთხრა სასამართლოს, რომ კნიაზევისა და ტუროკის ეს კავშირი ერთერთ უცხო სახელმწიფოსთან მე ვიცოდი.

ვიშინსკი: რომელ პერიოდში იცოდით თქვენ ეს?

ლივშიცი: 1935 წლიდან დაპატიმრებამდე. მაგრამ ეს ცოტაა, მე კნიაზევის თხოვნით მივეცი მას ზოგიერთი მასალა მათთვის გადასაცემად.

ვიშინსკი: როცა იყავით...

ლივშიცი: სახალხო კომისრის მოადგილედ.

ვიშინსკი: თქვენ კნიაზევს აძლევდით მითითებებს მარცხთა მოწყობის შესახებ?

ლივშიცი: ვაძლევდი.

ვიშინსკი: თქვენ მიდიოდით ადამიანთა მსხვერპლზე?

ლივშიცი: მივდიოდი ამაზე.

ვიშინსკი: კნიაზევმა გითხრათ, რომ იგი დაკავშირებულია ერთერთი უცხო სახელმწიფოს დაზვერვასთან?

ლივშიცი: დიახ.

ვიშინსკი: ხომ არ უთქვამს მას, რომ ეს დაზვერვა მისგან, კნიაზევისაგან, მოითხოვს მარცხთა მოწყობას?

ლივშიცი: მე ახლა არ მახსოვს, შეიძლება მითხრა.

ვიშინსკი: ბრალდებულო კნიაზევ, როდის ესაუბრეთ თქვენ ლივშიცს?

კნიაზევი: ეს იყო 1935 წლის აგვისტოში.

ვიშინსკი: ლაპარაკი მარცხთა მოწყობაზე იყო?

კნიაზევი: ეს იყო ლაპარაკის პირვანდელი სტადია.

ვიშინსკი: თქვენი სამსახურებრივი მდგომარეობა როგორი იყო?

კნიაზევი: გზის უფროსი ვიყავი.

ვიშინსკი: თქვენ, კნიაზევ, უკვე იაპონიის დაზვერვის აგენტად იყავით აყვანილი?

კნიაზევი: მე აგენტი გავხდი 1934 წლის სექტემბრიდან.

ვიშინსკი: ეს ლივშიცს უთხარით? მან ეს იცოდა?

კნიაზევი: დიახ. როცა შევხვდი ლივშიცს, ვუთხარი, რომ იაპონელთა გზები ემთხვევა ტროცკისტულ გეზს ძირგამომთხრელი მუშაობის ნაწილში. მაგრამ იაპონელები მოითხოვენ საიდუმლო ცნობებს.

ვიშინსკი: რა გიპასუხათ ლივშიცმა?

კნიაზევი: მან მითხრა, რომ სტალინურ ხელმძღვანელობასთან ტროცკისტული ორგანიზაციის ბრძოლის ვითარება ისეთია, რომ საჭიროა არა მარტო ძირგამომთხრელი მუშაობის წარმოება, არამედ აგრეთვე კავშირის გაბმა უცხო სახელმწიფოებთან, რომ რამდენადაც ტროცკისტული ორგანიზაცია დაკავშირებულია უცხოეთის მთავრობებთან, ამ კავშირის შესანარჩუნებლად იაპონელებთან, მოგვიხდება ხსენებული ცნობების მიწოდება.

ვიშინსკი: ნება მომეცით შევეკითხო ბრალდებულ ტუროკს. რა იცით თქვენ იაპონიის დაზვერვასთან კავშირის შესახებ?

ტუროკი: მე გაბმული მქონდა კავშირი იაპონიის დაზვერვასთან, როცა კაგანოვიჩის სახელობის, ყოფილი პერმის, გზაზე ვიყავი 1934 წელს. მე დავალება მქონდა. ეს მე შევათანხმე მარიასინთან, რომელსაც ანგარიშს ვაბარებდი ტროცკისტული მუშაობის შესახებ.

ვიშინსკი: კნიაზევთან რა კავშირი გქონდათ?

ტუროკი: მან მაცნობა, რომ იაპონიის დაზვერვასთან კავშირი დამყარებული მაქვსო, მე კი მას ვაცნობე.

ვიშინსკი: იცოდით თუ არა თქვენ, რომ ეს შეტყობილი აქვს ლივშიცს?

ტუროკი: 1935 წლის 15 სექტემბერს მე ვიყავი ლივშიცთან და ველაპარაკე მას. მე კავშირი მქონდა იაპონიის დაზვერვასთან ლივშიცმა მითხრა, რომ ეს კავშირი არ უნდა შევწყვიტო, არამედ საჭიროა შევინარჩუნო იგი ტროცკისტული ორგანიზაციის სასარგებლოდ.

ვიშინსკი: ბრალდებულო ლივშიც, თქვენ ადასტურებთ კნიაზევის და ტუროკის ჩვენებებს ამ საკითხზე?

ლივშიცი: საერთოდ სწორია.

ვიშინსკი: გვითხარით, იმის შემდეგ, რაც კნიაზევისაგან გაიგეთ, რომ მას კავშირი აქვს დაზვერვასთან, გქონდათ მასთან რაიმე საუბარი? აძლევდით მას მითითებებს?

ლივშიცი: მე ვთქვი, რომ არა თუ კავშირი მქონდა, არამედ 1936 წელს მან მთხოვა მასალა იაპონიის დაზვერვისათვის და მე ეს მასალა მივეცი.

ვიშინსკი: იცოდით თუ არა თქვენ, რომ იაპონიის დაზვერვა იხდიდა ფულს ამ ცნობების მიღებისათვის?

ლივშიცი: არ ვიცოდი.

ვიშინსკი: შეიძლება ტუროკს შევეკითხოთ? ბრალდებულო ტუროკ. თქვენ იცით, რომ იაპონიის დაზვერვა იხდიდა ფულს ამ ცნობებისათვის?

ტუროკი: არა, ამ ცნობებისათვის ფულს იგი ჩვენ არ გვიხდიდა, ხოლო ტროცკისტული დივერსიული მუშაობის ორგანიზაციისათვის ფულს ჩვენ საერთოდ ვღებულობდით.

ვიშინსკი: ვისგან?

ტუროკი: იაპონიის დაზვერვისაგან.

ვიშინსკი: როდის ღებულობდით თქვენ ფულს?

ტუროკი: 1934 წლის იანვარში —35.000 მანეთი.

ვიშინსკი: რა უყავით ამ ფულს?

ტუროკი: 20.000 მანეთი დავიტოვე ჩემი ორგანიზაციისთვის, ხოლო 15.000 მივეცი კნიაზევს ორგანიზაციისთვის.

ვიშინსკი: კნიაზევ, მართალია ეს?

კნიაზევი: დიახ, მე მივიღე.

ვიშინსკი: გვითხარით ბრალდებულო ლივშიც, რა იცოდით თქვენ ტროცკისტთა ტერორისტული საქმიანობის შესახებ?

ლივშიცი: მე ვიცოდი, რომ მზადდებოდა ხელყოფა სტალინის, კოსიორისა და პოსტიშევის წინააღმდეგ.

ვიშინსკი: ვისგან იცოდით ეს?

ლივშიცი: პიატაკოვისა, სერებრიაკოვისა და ლოგინოვისაგან. მე ვიცოდი 1933 წელს, რომ მზადდება ხელყოფა პოსტიშევისა და კოსიორის წინააღმდეგ, ხოლო 1935 წელს—სტალინის წინააღმდეგ.

თავმჯდომარე: გვითხარით, ბრალდებულო ლივშიც, ტროცკისტული ორგანიზაციის თქვენ მიერ ჩამოთვლილი მონაწილეთაგან რომელს აძლევდით თქვენ უშუალო მითითებებს მარცხთა ორგანიზაციის შესახებ?

ლივშიცი: კნიაზევს, ემშანოვს, არნოლდოვს, ტუროკს, ფუფრიანსკის, როზენცვეიგს.

თავმჯდომარე: თქვენ ადასტურებთ, რომ სერებრიაკოვი გელაპარაკათ დივერსიული მუშაობის შესახებ მობილიზაციის წინა პერიოდში, რათა ხელი შეგეშალათ ჯარების გადაჯგუფებისათვის?

ლივშიცი: დიახ.

თავმჯდომარე: კნიაზევმა თქვენ მოგახსენათ, რომ მან შესძლო მარცხის მოხდენა ერთერთ სადგურზე, რის შედეგად დაიღუპა 29 წითელარმიელი და დაიჭრა 29 წითელარმიელი?

ლივშიცი: დიახ, ეს მე ვიცოდი.

ვიშინსკი: რამდენადაც, ბრალდებულო ლივშიც, დღეს თქვენ სასამართლოში გულახდილად აღიარეთ დამატებით თქვენი დანაშაული შპიონაჟში, ესე იგი დამნაშავედ სცანით თქვენი თავი თქვენთვის წარმოდგენილ ბრალდებათა მთელ მოცულობაში, იქნება დღეს მოისურვებთ მოგვცეთ უფრო დაწვრილებითი ცნობები ტერორის შესახებაც? მაგალითად, იცოდით თუ არა თქვენ ლოგინოვისაგან უფრო კონკრეტულად, როგორ მზადდებოდა ხელყოფა კოსიორისა და პოსტიშევის წინააღმდეგ ვინ ამზადებდა მას?

ლივშიცი: არა, არ ვიცოდი.

ვიშინსკი: თქვენ იცნობთ ვინმე ძეძიევსკის და იცოდით, რომ იგი დაკავშირებული იყო ტერორისტულ ჯგუფთან?

ლივშიცი: ვიცნობ. ძეძიევსკი დაკავშირებული იყო ლოგინოვთან.

ვიშინსკი: თქვენ იცოდით, რომ ლოგინოვი ამზადებს ტერორისტულ აქტებს?

ლივშიცი: ვიცოდი.

ვიშინსკი: გლებოვ-ავილოვის შესახებ თქვენ არ იცოდით, რომ იგი ტერორისტულ აქტებზე მუშაობდა?

ლივშიცი: გლებოვ-ავილოვი მე ამის შესახებ მელაპარაკა.

ვიშინსკი: ვის წინააღმდეგ ამზადებდა იგი ტერორისტულ აქტს?

ლივშიცი: სტალინის წინააღმდეგ.

ვიშინსკი: საკითხი, ჩემი აზრით, გარკვეულია.

თავმჯდომარე: ცხადდება შეწყვეტა 27 იანვრის დილის 11 საათამდე.

27 იანვრის დილის სხდომა

ბრალდებულ კნიაზევის დაკითხვა

ვიშინსკი: როდის დაიწყეთ თქვენი კონტრრევოლუციური საქმიანობა?

კნიაზევი: 1934 წლის აპრილიდან.

ვიშინსკი: თქვენ მონაწილეობას იღებდით დივერსიულ და მავნებლურ მუშაობაში ტრანსპორტზე?

კნიაზევი: ვიღებდი. მავნებლური მუშაობა გამოიხატებოდა მარცხთა მოწყობაში, საგზაო მეურნეობის და საორთქლმავლო პარკის მოშლაში; მიზნად გვქონდა დასახული ძირი გამოგვეთხარა ურალის, განსაკუთრებით მეტალურგიული მრეწველობის მუშაობისათვის. 1935 წელს ლივშიცმა მითხრა, რომ ახლა უნდა გადავიდეთ მარცხებზე ადამიანთა მსხვერპლით. იგი ამბობდა, რომ საქმე ეხება მეტად მწვავე ბრძოლას სტალინის წინააღმდეგ, რომ ჩვენ უნდა მივაღწიოთ პარტიის ხელმძღვანელობის სრულ დისკრედიტაციას ხალხისა და წითელი არმიის თვალში, მოსახლეობისათვის მთელი რიგი ზიანის მიყენებით გამოვიწვიოთ გაბოროტება სტალინის წინააღმდეგ, მთავრობის წინააღმდეგ და მოსახლეობაში შევქმნათ შთაბეჭდილება, რომ ირგვლივ ყველაფერი ინგრევა, ყველაფერში დამნაშავეა მთავრობა.

შემდეგ კნიაზევი აჩვენებს, რომ 1935 წლის აგვისტოში სამხრეთ ურალის გზაზე, რომლის უფროსიც იმ დროს თვითონ იყო, მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ტროცკისტული არალეგალური ჯგუფები ზლატოუსტში, შუმიხაში, კურგანში, უფალეში, კოზირევში.

27 ოქტომბერს, — განაგრძობს თავის ჩვენებას კნიაზევი,—მოწყობილი იყო მარცხი შუმიხას სადგურზე. იგი ჩემი დავალებით მოაწყო უფროსმა მეისრემ კოლესნიკოვმა, რომელმაც მორიგედ მყოფ მოწაფე ჩუდინოვას უბრძანა შემოსასვლელი ისარი № 14 გადაეყვანა დაკავებულ ხაზზე. მატარებელი, რომელიც მოდიოდა დიდი სისწრაფით —40-45 კილომეტრის სისწრაფით — შევრიალდა მე-8 ხაზზე, რომელზედაც იდგა მადნით დატვირთული მარშრუტი.

ვიშინსკი: რამდენი კაცი დაიღუპა?

კნიაზევი: 29 წითელარმიელი, აგრეთვე დაიჭრა 29 კაცი. 15 კაცი ძალზე დასახიჩრდა.

ვიშინსკი: ეს თქვენი და თქვენი თანამონაწილეების წყალობით?

კნიაზევი: დიახ.

ამხ. ვიშინსკის თხოვნით სასამართლო საქმეს ურთავს (ცნობას შუმიხას სადგურზე მომხდარი მარცხის შესახებ, რომლის დროს დაიმსხვრა ერთი ორთქლმავალი და 8 ვაგონი, დაიღუპა 29 და დაიჭრა 29 წითელარმიელი.

სასამართლოს წევრი რიჩკოვი (მიმართავს კნიაზევს): რა ჯაშუშური ცნობები გადაეცით იაპონიის დაზვერვის აგენტს პირადად თქვენ? მობილიზაციური ხასიათის ცნობებს აწვდიდით?

კნიაზევი: ვაწვდიდი. სამხრეთ-ურალის, პერმის, ამიერბაიკალის, უსურიის და აღმოსავლეთ ციმბირის გზების შესახებ.

დამცველი ბრაუდე: როგორ მოხდა თქვენი ჩაბმა იაპონიის დაზვერვის სამსახურში?

კნიაზევი: მე ტროცკისტულ ორგანიზაციაში შევედი 1934 წლის აპრილში, ხოლო იაპონიის დაზვერვასთან კავშირი გავაბი სექტემბერში.

1935 წლის აპრილში ბ-ნ X....-საგან, მივიღე წერილი, რომელშიაც იგი მწერდა, რომ მიემგზავრება ლონდონში დიპლომატიური მუშაობისათვის და გამოივლის სვერდლოვსკში. მე ბ-ნ X....-ს შევხვდი მატარებელში.

ამ ბ-ნმა X....-მა, რომელთანაც მე უკვე წინათ მქონდა კავშირი, მითხრა რომ ტროცკისტული ორგანიზაცია აწარმოებს მუშაობას საბჭოთა კავშირში, სარგებლობს რა იაპონიის დახმარებით, და რომ ახლა საჭიროა დივერსიებზე გადასვლა, განსაკუთრებით შორეულ აღმოსავლეთში მიმავალ სამხედრო მატარებლის მიმართ, რათა მოვახდინოთ წითელი არმიის დემორალიზაცია.

ვიშინსკი: 1936 წლის 7 თებერვალის მარცხი ედინოვერ-ბერდიაუშის გადასარბენზე თქვენი დავალებით მოხდა?

კნიაზევი: დიახ.

ბრალდებული კნიაზევის შემდგომი პასუხებით სახელმწიფო ბრალმდებლის შეკითხვებზე ირკვევა, რომ მარცხები იახინო-უსტკატავის გადასარბენზე, სადგურ ჩისტაია ჩუმლიაკზე და როზა-ვარგაშის გადასარბენზე აგრეთვე კნიაზევის მიერ იყო მოწყობილი, ამ მარცხების ნამდვილი დამნაშავენი სისხლის სამართალში არ ყოფილან მიცემული, სამართალში ხშირად უდანაშაულო ადამიანებს აძლევდნენ ხოლმე (ფეოდოროვიჩი, ჩუდნოვი და სხვ.).

ვიშინსკი: სწორია თუ არა, რომ 1935 და 1936 წლებში უშუალოდ თქვენ მიერ მოწყობილ მარცხთა დროს დაიღუპა 63 კაცი და დაიჭრა 154 კაცი? თქვენ ამ ციფრებს ადასტურებთ?

კნიაზევი: ვადასტურებ.

სახელმწიფო ბრალმდებელი მთელ რიგ კითხვებს აძლევს ბრალდებულ კნიაზევს იაპონიის დაზვერვასთან კავშირის შესახებ. კნიაზევის პასუხებით ირკვევა, რომ 1936 წელს მას მიწერ-მოწერა ჰქონდა ბ-ნ X....-სთან.

სახელმწიფო ბრალმდებლის ამხ. ვიშინსკის თხოვნით ბრალდებულ კნიაზევს წარუდგინეს ფოტოსურათი ბ-ნ X...-ის წერილისა, რომელიც კნიაზევმა 1936 წლის აგვისტოში მიიღო. კნიაზევი, გაეცნო რა ფოტოგრაფიულ ასლს, აღიარებს, რომ ეს ნამდვილად იმ წერილის ფოტო ასლია, რომელიც მან 1936 წლის აგვისტოში მიიღო ბ-ნ X...-სგან და დაწერილია ბ-ნ X...-ის ხელით.

შემდეგ ამხ. ვიშინსკი კითხულობს ამონაწერებს საქმესთან დართული წერილის დედანს, რომელიც დათარიღებულია 15 დეკემბრით და მიმართულია ი. ა. კნიაზევისადმი. აღნიშნულ წერილს უჩვენებენ ბრალდებულ კნიაზევს, რომელიც აღიარებს, რომ ეს წერილი დაწერილია ბ-ნ X...-ის მიერ და მიღებულია მის —კნიაზევის მიერ ბ-ნ X...-სგან 1931 წელს.

ვიშინსკი: გაძლევდნენ თუ არა თქვენ რაიმე სახელმძღვანელო გეზს ომის შემთხვევისთვის?

კნიაზევი: მაძლევდნენ — სამხედრო საწყობებისა და სამხედრო მატარებელთა მომმარაგებელი პუნქტების დაწვის შესახებ. ოქტომბერში ბ-ნი X... დაჟინებით აყენებდა საკითხს, იმის შესახებ, რომ „ჩვენ ვაყენებთ ამოცანას არა მარტო დაწვისას, არამედ, თუ საჭირო გახდა, იმ სამხედრო ვაგონთა მოწამვლისაც, რომლებიც დანიშნულია სამხედრო ეშელონებისათვის".

ვიშინსკი: მოწამვლის, რითი?

კნიაზევი: ბაქტერიებით.

ვიშინსკი: შემდეგ კი ეს ვაგონები უნდა გაგევსოთ ხალხით, დაგვედებინათ ხალხი, ხალხი ავადმყოფდება და იხოცება?

კნიაზევი: დიახ.

სახელმწიფო ბრალმდებლის კითხვაზე ტუროკისაგან მიღებული 15 ათასი მანეთის შესახებ ბრალდებული კნიაზევი აჩვენებს, რომ ეს ფული მან მიიღო ტუროკის საშუალებით იაპონიის დაზვერვისაგან. კნიაზევმა ეს ფული გაანაწილა ტროცკისტული ორგანიზაციის წევრებს შორის, რომლებიც კნიაზევის ხელმძღვანელობით აწარმოებდნენ დივერსიულ მუშაობას ტრანსპორტზე.

ბრალდებულ ტუროკის დაკითხვა

თავმჯდომარე: როდის და ვინ ჩაგაბათ თქვენ ტროცკისტულ ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში?

ტუროკი: 1934 წლიდან ურალვაგონმშენის უფროსმა მარიასინმა. მაშინ მე ვმუშაობდი ექსპლოატაციის უფროსის მოადგილედ.

თავმჯდომარე: რამდენი მარცხი მოაწყეს თქვენი ტროცკისტული ორგანიზაციის მონაწილეებმა?

ტუროკი: 1934 წ. დამლევიდან მე ვიცი, დაახლოებით, 40-მდე მარცხი.

თავმჯდომარე: ადამიანთა მსხვერპლი იყო?

ტუროკი: იყო. უმთავრესად, საქონლის მატარებლებში იმ ადამიანთა შორის, რომელნიც ამ მატარებლებს უწევენ მომსახურებას, და, გარდა ამისა, სამგზავრო მატარებელში. ერთი მოკვდა, 5 მძიმედ დაშავდა და 15 მსუბუქად დაშავდა.

თავმჯდომარე: თქვენი კონტრრევოლუციური ტროცკისტული ორგანიზაცია ამზადებდა ტერორისტულ აქტებს?

ტუროკი: დიახ. 1934 წ. შემოდგომაზე სვერდლოვსკის გზით უნდა გაეარა მოლოტოვს, და ტროცკისტი ბურლაკოვი მის წინააღმდეგ ამზადებდა ტერორისტულ აქტს, რომელიც ვერ განხორციელდა. იგივე ამზადებდა ტერორისტულ აქტს კაგანოვიჩის წინააღმდეგაც 1936 წლის თებერვალში. ამ აქტის უშუალო შემსრულებლად მან მიიზიდა ვინმე მიხეტკო, რომელიც იაპონიის აგენტი იყო.

თავმჯდომარე: თქვენს ჩვენებას, რომ კავშირი გქონდათ იაპონიის მზვერავებთან ბ-ნ X-სთან, ბ-ნ Y-თან, „გიორგი ივანოვიჩთან", თქვენ ადასტურებთ?

ტუროკი: ვადასტურებ.

თავმჯდომარე: რამდენი ფული მიიღეთ იაპონიის დაზვერვის სასარგებლოდ მუშაობისათვის?

ტუროკი: 1935 წ. თებერვალში მომიტანეს 35.000 მანეთი.

შემდეგ სახელმწიფო ბრალმდებელი ამხ. ვიშინსკი ბრალდებულ ტუროკს აძლევს კითხვებს სვერდლოვსკის სამგზავრო სადგურსა და სვერდლოვსკის დამხარისხებელ სადგურს შუა 1936 წლის მარტსა და აპრილში მომხდარ მარცხთა შესახებ, აგრეთვე 1935 წლის სექტემბერში მონზინოს სადგურზე მომხდარ მარცხთა შესახებ. ტუროკი ადასტურებს, რომ ყველა ეს მარცხი მოწყობილი იყო ტროცკისტული ორგანიზაციის დავალებით, ამასთან დანაშაულს ამ მარცხებისათვის დივერსანტები აბრალებდნენ უდანაშაულო ადამიანებს.

ბრალდებულ რატაიჩაკის დაკითხვა

ვიშინსკი: თქვენ ჩვენებაში გამოძიების დროს ასეთი პასუხი მიეცით: „მე მინდოდა ჩემი თავისთვის მიმეწერა სინამდვილეში არარსებული რევოლუციური დამსახურებანი". მართალია?

რატაიჩაკი: მართალია.

— ტროცკისტულ ორგანიზაციაში პიატაკოვმა ჩამაბა — ამბობს რატაიჩაკი,—ვიყავი ქიმიური მრეწველობის მთავარ სამმართველოს უფროსად. აქტიური კონტრრევოლუციური მუშაობა დაიწყო მავნებლობით 1934 წლის მშენებლობის გეგმაში. რატაიჩაკი დაუკავშირდა გერმანიის დაზვერვის აგენტებს, ქიმიური მრეწველობის მუშაობის შესახებ საიდუმლო ცნობებს აწვდის მათ თვითონ უშუალოდ და თავის ხელქვეითის გრაშესა და პუშინის საშუალებით.

ვიშინსკი: რაში გამოიხატა თქვენი დივერსიული მუშაობა?

რატაიჩაკი: ჩემი დირექტივით, რომელიც პუშინს გადაეცა, მოხდა სამი ავარია-დივერსია გორლოვკის ქარხანაში ერთი ნევის ქარხანაში და ერთი — ვოსკრესენკის ქიმიურ კომბინატში. გორლოვკის ქარხანაში ერთი საამქრო და ქარხანა მთლიანად რამდენიმე დღით გამოვიდნენ მწყობრიდან. დაიღუპა სამი მუშა.

ვიშინსკი: თქვენ იცით მათი გვარები?

რატაიჩაკი: დამავიწყდა.

ვიშინსკი: მე მოგაგონებთ: ლეონიდე თედორეს-ძე კურკინი, 20 წლისა, კომკავშირელი, დამკვრელი, სტახანოველი, ნიკოლოზ ივანეს-ძე მოსტეცი, ხეინკალი, ირინე იაგორის ასული სტრელნიკოვა, 22 წლისა, მეფილტრე. ვინ მოჰკლა ისინი?

რატაიჩაკი: ჩვენ.

ვიშინსკი: თქვენ ქიმიური მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსმა? (რატაიჩაკი სდუმს).

შემდეგ რატაიჩაკი აჩვენებს, რომ აფეთქებისას გორლოვკის ქარხნის საჰაერო კაბინების განყოფილებაში ერთი საჰაერო კაბინი გამოვიდა მწყობრიდან. დაიღუპნენ დამკვრელი, საამქროს აპარატის საუკეთესო მუშაკი ლუნევი და ტომსკის პოლიტექნიკური ინსტიტუტის უკანასკნელი კურსის სტუდენტი იუდინა, რომელიც საწარმოო პრაქტიკაზე მუშაობდა.

ვიშინსკი: ვოსკრესენსკის ქიმიურ კომბინატში თქვენი დავალებით მოეწყო დივერსია?

რატაიჩაკი: დიახ.

დაკითხვის შედეგად ამხ. ვიშინსკი არკვევს, რომ ვოსკრესენსკის ქიმკომბინატში იყო ორი დივერსია.

ვიშინსკი: ხოლო ისე იყო, რომ ხანძრის შემდეგ თქვენ ბრძანება გაეცით დაუყოვნებლივ შესდგომოდნენ წმენდას, თუმცა ეს მუშათა სიცოცხლე საფრთხეს უქადდა?

რატაიჩაკი: დიახ, მოვითხოვე.

ვიშინსკი: და დაიღუპა 17 მუშა?

რატაიჩაკი: სწორია.

ვიშინსკი: და დაშავდა 15?

რატაიჩაკი: სწორია.

27 იანვრის საღამოს სხდომა

ბრალდებულ გრაშეს დაკითხვა

დამცველ ამხ. კომოდოვის და სახელმწიფო ბრალმდებელ ამხ. ვიშინსკის მიერ ბრალდებულ რატაიჩაკისადმი მთელი რიგი კითხვების მიცემის შემდეგ, სასამართლო გადადის ბრალდებულ გრაშეს დაკითხვაზე.

ვიშინსკი: როდის ჩამოხვედით რუსეთში პირველად და საიდან?

გრაშე: 1909 წელს ჩეხიიდან.

ვიშინსკი: რომელ ქალაქში?

გრაშე: ყუბანის ოლქის ქალაქ ეისკში.

ვიშინსკი: რომელი სახელმწიფოს ქვეშევრდომი იყავით იმ დროს?

გრაშე: ავსტრია-უნგრეთის ქვეშევრდომი.

ვიშინსკი: რა საქმიანობას ეწეოდით?

გრაშე: ჩამოვედი როგორც ფრანგული ენის მასწავლებელი, შემდეგ ვასწავლიდი გერმანულ ენასაც. მქონდა გაკვეთილები ეისკის რეალურ სასწავლებელში და კერძო გაკვეთილები. ეისკში დავრჩი 1917 წლის დამლევამდე. 1917 წლის მაისს იქ შევედი ბოლშევიკურ პარტიაში.

ვიშინსკი: თქვენ მაშინ რომელ სახელმწიფოს მოქალაქედ სთვლიდით თავს?

გრაშე: მე რუსეთის მოქალაქედ ვთვლიდი თავს.

ვიშინსკი: ხოლო 1919 წელს?

გრაშე: 1919 წელს თავს ვთვლიდი ჩეხოსლოვაკად. 1919 წელს გავემგზავრე ჩეხოსლოვაკიაში.

ვიშინსკი: ხოლო დაბრუნდით?

გრაშე: და იქიდან დავბრუნდი, როგორც რუსეთის ყოფილი სამხედრო ტყვე.

ვიშინსკი: რა წელს იყო ეს?

გრაშე: 1920 წ. დამლევს თუ 1921 წ. დამდეგს.

ვიშინსკი: რატომ გიწერიათ შრომის წიგნაკში დაბადების ადგილი — ყუბანის ოლქი. მართლა ყუბანის ოლქში დაიბადეთ?

გრაშე: არა.

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ.)

ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრის პროცესი

გაგრძელება

ვიშინსკი: ხოლო დაბადების დრო რომელია?
გრაშე: 1886 წ.
ვიშინსკი: პასპორტში რატომ გიწერიათ 1880? თქვენივე განცხადებით?
გრაშე: დიაღ.
ვიშინსკი: თქვენი ძირითადი პროფესია?
გრაშე: ვიყავი მასწავლებლად 7-8 წელიწადს. ჩეხური დოკუმენტით — მასწავლებელი ვარ.
ვიშინსკი: ხოლო რუსული დოკუმენტით: ჟურნალისტი?
გრაშე. დიაღ.
ვიშინსკი: მაშასადამე, პროფესიაც სხვადასხვა გამოდის?
გრაშე: (სდუმს).
ვიშინსკი: როგორ გახდით დაზვერვის აგენტად? რომელი დაზვერვის? რომელ წელს?
გრაშე: გერმანიის დაზვერვის, 1932 წელს.
ვიშინსკი: მე თქვენს წინაშე ვაყენებ პირდაპირ კითხვას: 1920 წელს ჩამოხვედით საბჭოთა კავშირში ჯაშუშური მიზნებით?
გრაშე: დიაღ, სავსებით მართალია (მოძრაობა დარბაზში).
ვიშინსკი: აი ახლა ყველაფერი ნათელია. ხოლო 1932 წლამდე რომელ დაზვერვასთან იყავით დაკავშირებული?
გრაშე: ჩეხოსლოვაკიის დაზვერვასთან.
ვიშინსკი: ახლა სჩანს, რომ თქვენ გაქვთ მეორე პროფესია. რომელი?
გრაშე: ჯაშუშისა.
ვიშინსკი: აი ყველაფერი. ვისთან იყავით დაკავშირებული პერსონალურად გერმანიის დაზვერვიდან?
გრაშე: გერმანიის დაზვერვიდან მე დაკავშირებული ვიყავი მეიეროვიტცთან, რომელიც აქ უკვე მოიხსენიეს.
ბრალდებულ გრაშეს უჩვენებენ ფოტოსურათებს. გრაშე ათვალიერებს ფოტოსურათებს და ერთერთ სურათზე სცნობს მეიეროვიტცს. მეორე სურათზე ბრალდებულმა სცნო მეორე კაცი, რომელსაც იგი იცნობს.
ვიშინსკი: კიდევ ვინ იცანით?
გრაშე: კიდევ ვიცანი „ლინდეს“ ფირმის მონტიორი ლენცი.
ვიშინსკი: ეს რა პიროვნებაა? თქვენ მასთან დაკავშირებული იყავით?
გრაშე: ესეც გერმანიის კონტრდაზვერვის აგენტია. მე იგი მოვაწყე ტამბოვის ქარხანა „კომსომოლეც“-ში.
ვიშინსკი: რა თანამდებობაზე?
გრაშე: იგი იქ მოვაწყე მეიეროვიტცის დავალებით, როგორც გერმანიის დაზვერვის ერთერთი აგენტი ჯაშუშური ინფორმაციების შესაგროვებლად და დივერსიული მუშაობისათვის.
ვიშინსკი: თქვენ კი რას აკეთებდით?
გრაშე: ამ შემთხვევაში თუ ერთოდ? თუ საერთოდ, მაშინ მეც უნდა შემეგროვებინა მასალა მეიეროვიტცისათვის.
ვიშინსკი: თქვენ აგროვებდით?
გრაშე: გადავცემდი ხოლმე იმ მასალას, რომელსაც ვღებულობდი გერმანელი ჯაშუშებისაგან, რომლებიც უცხოელ სპეციალისტთა სახით მუშაობდნენ ქარხნებში.
ვიშინსკი: მეორე მხრივ?
გრაშე: რატაიჩაკისაგან.
ვიშინსკი: თქვენ რატაიჩაკთან დაკავშირებული იყავით როგორც ტროცკისტი, თუ როგორც მზვერავი?
გრაშე: დაკავშირებული ვიყავი როგორც მზვერავი. მე, როგორც ჯაშუშს, არ მომეთხოვება მქონდეს რაიმე რწმენა (სიცილი დარბაზში).
ვიშინსკი: თქვენ ამაში ფულს იღებდით?
გრაშე: დიაღ, მეიეროვიტცისაგან ვიღებდი. მისგან ერთხელ მივიღე 300 მარკა. იგი მარწმუნებდა, რომ დათქმული მისამართით კიდევ გამომიგზავნა 500 მარკა.
ვიშინსკი: ხომ არ უგზავნიდა იგი ფულს თქვენს მშობლებს?
გრაშე: დიაღ, დედაჩემმა ჩეხოსლოვაკიაში ალბათ მიიღო 7-8 ათასი ჩეხოსლოვაკური კრონი.
ვიშინსკი: მოსკოვში თქვენ გქონდათ კავშირი ტროცკისტებთან?
გრაშე: ინჟინერ ვინფელდთან.
ვიშინსკი: კიდევ?
გრაშე: შემდეგ ლუნდთან და ნილსენთან.
გრაშე აჩვენებს, რომ 1935 წელს მოსკოვში მას ჰქონდა ოთახი, რომელიც იყო სახვედრო ადგილი კონსპირირებულ პიროვნებათათვის, კერძოდ იმავე ინჟინერ ვინფელდისათვის.
გრაშემ აგრეთვე მოაწყო მეიეროვიტცის შეხვედრა რატაიჩაკთან რატაიჩაკის კაბინეტში.
ვიშინსკი: მონაწილეობას იღებდით თუ არა რაიმე დივერსიულ აქტებში?
გრაშე: პირადად მე არ ვიღებდი, მაგრამ ვიცი, რომ ერთერთი გერმანელი უცხოელი სპეციალისტი — ვაინოვი, როგორც სჩანს, არის პერეზნიკის ქიმკომბინატში ავარიის მომწყობი.
ვიშინსკი: საიდან იცით ეს?
გრაშე: ვიცი, რომ ყოველივე ამის შემდეგ იგი ძალიან აღელვებული დაბრუნდა მოსკოვში და მთხოვა რაც შეიძლება მალე გამეგზავნა იგი საზღვარგარეთ.
ვიშინსკი: და თქვენ ეს შეასრულეთ.
გრაშე: მე ეს შევასრულე.
თავმჯდომარე: სასამართლო ადასტურებს, რომ იმ მოქალაქის ფოტოგრაფიული სურათი, რომელზედაც ბრალდებულმა გრაშემ მეიეროვიტცი სცნო, სავსებით ისეთივეა, როგორც მოსკოვის საოლქო ალმასკომის პრეზიდიუმის ადმინისტრატიული განყოფილების უცხოეთის ქ/განყოფილების შემოსვლა-გასვლის წარმოებაში არსებული ფოტოსურათი და მოწმობაზე არსებული ფოტოსურათი.

ბრალდებულ პუშინის დაკითხვა

ვიშინსკი: რაში სცნობთ თავს დამნაშავედ?
პუშინი: თავს დამნაშავედ ვცნობ იმაში, რომ, შემიყვანა რა 1934 წლის დამდეგს რატაიჩაკმა კონტრრევოლუციურ ტროცკისტულ ორგანიზაციაში, ვიყავი ამ ორგანიზაციაში ჩემს დაპატიმრებამდე, და იმ დირექტივების მიხედვით, რომლებსაც რატაიჩაკისაგან ვიღებდი, ჩავიდინე სამი დივერსიული აქტი გორლოვსკის ქარხანაში, მონაწილეობას ვიღებდი მავნებლურ მუშაობაში, რომელიც დაპროექტების ხაზით სწარმოებდა, და, ბოლოს, იმავე რატაიჩაკის დავალებით გერმანიის მზვერავს მონტიორ ლენცს გადავეცი სამი საიდუმლო დოკუმენტი.
ვიშინსკი: ძირგამომთხრელ მუშაობაში ჩაბმულ ადამიანთაგან ვისი დასახელება შეგიძლიათ?
პუშინი: გორლოვკის ქიმიური ქარხნის ტექნიკური დირექტორი ინჟინერი ტამისა.
დამცველი კომოდოვი: თქვენ გამოტყდით დაკითხვის დროს, თუ საკუთარი ხელით დასწერეთ განცხადება?
პუშინი: სანამ მამხილებელ საბუთებს წამომიყენებდნენ და მთელ რიგ კითხვებს მომცემდნენ, მე მოვითხოვე ქაღალდი და კალამი და შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ეჟოვის სახელზე დავწერე განცხადება, სადაც აღვიარე ყველა ჩემი დანაშაული.
ვიშინსკი: თქვენ რამდენ ხანს ასრულებდით გერმანიის დაზვერვისათვის ცნობათა მიმწოდებლის მოვალეობას?
პუშინი: 1934 წლის დამლევიდან თუ 1935 წლის დამდეგიდან 1935 წლის შუა თვეებამდე.
ვიშინსკი: შემდეგ რამ შეგიშალათ ხელი?
პუშინი: არ ყოფილა არავითარი პრაქტიკული დავალებანი, ვინაიდან ის პირი, რომელთანაც მე დაკავშირებული ვიყავი — ლენცი, აქედან წავიდა.
ვიშინსკი: მაშასადამე, თქვენ შესწყვიტეთ მუშაობა არა იმიტომ, რომ სინიდისის ქენჯნამ შეგაწუხათ, არამედ იმიტომ, რომ არ იყო პრაქტიკული წინადადებანი?
პუშინი: დიაღ.
ვიშინსკი: ამხ. ეჟოვის სახელზე განცხადება თქვენ შეიტანეთ დაპატიმრებამდე კი არა, არამედ უკვე დაპატიმრების შემდეგ?
პუშინი დიაღ.

მოწმე ტამის ჩვენება

ვიშინსკი: რანაირად შეიტყეთ თქვენ პუშინის დანაშაულებრივი მუშაობის ამბავი?
ტამი: მე და პუშინს გვქონდა მთელი რიგი ანტისაბჭოთა ხასიათის საუბარი. მოსკოვში ერთერთი ჩემი გამგზავრების დროს — ეს იყო 1934 წლის თებერვალში, — მე ქარხნის საქმეების გამო შევიარე მასთან ქიმიური მრეწველობის მთავარ სამართველოში. იქ მან მომცა კონკრეტული წინადადება, რომ საჭიროა შევუდგეთ დივერსიულ მუშაობას. მე დავეთანხმე.
ვიშინსკი: როგორ გგონიათ: უნდა ვიფიქროთ, რომ მთელი 1935 წლის განმავლობაში პუშინი დივერსიულ პოზიციაზე იდგა?
ტამი: ვფიქრობ, რომ ეს ასეა.
ვიშინსკი: პუშინის დავალებით დივერსიული აქტები განხორციელებულ იქნა თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით?
ტამი: დიაღ.
ვიშინსკი: ვინ ანხორციელებდა?
ტამი: ახორციელებდნენ ასინოვსკი, ხალეზოვი, დრაჩი, კრუშელნიცკი.
თავმჯდომარე: ბრალდებულთა დაკითხვა დამთავრებულია. მოწმეთა დაკითხვაც დამთავრებულია. ხომ არ არის დამატებითი კითხვები?
ვიშინსკი: მე მაქვს კითხვები პიატაკოვისადმი. ბრალდებულო პიატაკოვ, თქვენ აეროპლანით გაფრინდით ნორვეგიაში ტროცკისთან შესახვედრად. ხომ არ იცით რომელ აეროდრომზე დაეშვით?
პიატაკოვი: ოსლოს მახლობლად.
ვიშინსკი: ხომ არ შეგხვედრიათ რაიმე სიძნელეები აეროპლანის დაშვებისა ან ამ აეროდრომზე მისი მიღების დროს?
პიატაკოვი: მართალი მოგახსენოთ, ვერ გეტყვით. მე იმდენად აღელვებული ვიყავი უჩვეულო მგზავრობით, რომ ამას ყურადღებას არ ვაქცევდი.
ამხ. ვიშინსკის თხოვნით სასამართლო საქმეში აკრებს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საკონსულო განყოფილების მიმართვას სსრ კავშირის პროკურორის სახელზე, რომ ნორვეგიაში სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მიერ მიღებული ოფიციალური ცნობის თანახმად, ხელერეს აეროდრომი, ოსლოს მახლობლად, საერთაშორისო წესების თანახმად მთელი წლის განმავლობაში ღებულობს სხვა ქვეყნების აეროპლანებს და რომ აეროპლანების მოფრენა და გაფრენა შესაძლებელია ზამთრის თვეებშიაც.
ვიშინსკი: ბრალდებულო რადეკ, გვითხარით: თქვენთან აგარაკზე მოსკოვის მახლობლად მოვიდა თუ არა ვინმე პიროვნება?
რადეკი: როგორც მე უკვე ვაჩვენე, 1935 წლის ზაფხულს მე მეწვია შუა ევროპის ქვეყნის სწორედ იმ დიპლომატიური წარმომადგენელი, რომელიც 1934 წელს ჩემთან ლაპარაკის დროს პირველად სინჯავდა ნიადაგს.
ვიშინსკი: იგი მოვიდა და გესაუბრათ თქვენ ვისიმე თანდასწრებით, თუ მარტონი იყავით?
რადეკი: არა, მაშინ ჩემთან იყო ბუხარინი. მოვიდა ავტომობილი და დავინახე ეს ჩემთვის ცნობილი ბ-ნი და, ამას გარდა, კიდევ ორი უცნობი. მან თავისი მოსვლა იმით განმარტა, რომ მასთან ერთად მოსულები — კენიგსბერგის უნივერსიტეტის პროფესორი და ამ ქვეყნის ერთერთი პროვინციის ერთერთი ხელმძღვანელის მრჩეველი ჩემთვის ინტერესს უნდა წარმოადგენდნენ იმ მხრივ, რომ კენიგსბერგი სხვანაირად უყურებს რუსეთს, ვიდრე, ვთქვათ, როზენბერგი, რომ პრუსიას ეშინიან პოლონეთის, არ ენდობა მას, ამიტომ იგი უფრო დაინტერესებულია სსრ კავშირთან აქტიური დამოკიდებულებით.
მე მოვისმინე მისი ეს შესავალი და ვინაიდან ჩვენ გადაწყვეტილი გვქონდა არავითარი მოლაპარაკება არ დაგვეწყო აქ ამ წარმომადგენლებთან, გარდა, როგორც აქ უკვე ვთქვი, ტროცკის მანდატისათვის ვიზის მიცემისა, — ამ წარმომადგენლებმა შეგვატყეს, რომ, როგორც სჩანს, მათთან არავითარი მოლაპარაკების დაწყება არ გვსურს, და წავიდნენ.
მათ მოსვლას თავისი შედეგები ჰქონდა. დიპლომატიურმა აგენტმა თან ვერ გაიგო თუ რატომ მიიღეს იგი ასე, ანდა იმ პირებს, რომლებიც მის ზურგს უკან იდგნენ, უნდოდათ შეემოწმებინათ, თუ რას ნიშნავს ეს, ხომ არ მოხდა აქ რაიმე ცვლილებანი ბლოკის დამოკიდებულებაში ამ ქვეყნის მიმართ.
და რამდენიმე თვის შემდეგ, დაახლოვებით 1935 წლის ნოემბერს, ერთერთი მორიგი დიპლომატიური დარბაზობის დროს ჩემთან მოვიდა ამ ქვეყნის სამხედრო წარმომადგენელი და დაიწყო ჩივილი იმაზე, რომ მთლად შეიცვალა ატმოსფერო ამ ორ ქვეყანას შორისო. პირველი სიტყვების შემდეგ მან სთქვა, რომ ბატონ ტროცკის დროს ამ ორი ქვეყნის არმიებს შორის უკეთესი ურთიერთობა არსებობდა. შემდეგ მან სთქვა, რომ ტროცკი კვლავ ერთგულობს თავის ძველ შეხედულებებს საბჭოთა კავშირ-გერმანიის მეგობრობის აუცილებლობაზე. ის ჩამაცივდა მე, როგორც წინათ რაპალოს ხაზის გამტარებელს. ამაზე ვუპასუხე, რომ სსრ კავშირში რეალურმა პოლიტიკოსებმა იციან, თუ რა მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირ-გერმანიის მეგობრობას და მზად არიან წავიდნენ დათმობებზე, რომლებიც საჭიროა ამ მეგობრობის უზრუნველსაყოფად. მან მიპასუხა, რომ, ბოლოს და ბოლოს საჭიროა რომდისმე შევიკრიბოთ, ერთად მოვილაპარაკოთ დაწვრილებით და კონკრეტულად დაახლოვების გზების შესახებ.
მე ვუთხარი, რომ როცა სათანადო პირობები იქნება, ხალისით გავატარებ თქვენთან საღამოს მეთქი.
ვიშინსკი: გქონდათ თუ არა თქვენ ლაპარაკი პიატაკოვთან ან სხვა ვინმესთან შესაძლო ომის მოახლოვების ვადების შესახებ?
უპასუხებს რა სახელმწიფო ბრალმდებლის ამ კითხვაზე, რადეკი აჩვენებს, რომ პიატაკოვმა ოსლოდან დაბრუნების შემდეგ გააცნო მას ტროცკის შემდეგი გეზი: როცა ტროცკი მომავალი ომის შესახებ ლაპარაკობდა, მან გესთან და გერმანიის სხვა ოფიციალურ პირებთან ლაპარაკის მიხედვით, სთქვა, რომ ომი მოსალოდნელია 1937 წელს, რომ გერმანიამ დაამთავრა საომარი მზადება და 1936 წელი ესაჭიროება მას, რომ ზურგი უზრუნველჰყოს დიპლომატიურად: ჯერ ერთი — უზრუნველჰყოს ინგლისის ნეიტრალიტეტი, მეორე — შეუთანხმდეს საფრანგეთს ანდა იმისათვის, რომ მზარდ ფაშისტურ მოძრაობაზე დაყრდნობით, რომელიც საფრანგეთის დემოკრატიულ მთავრობას შესუსტებს, სწრაფი დარტყმით გამოიყვანოს საფრანგეთი მწყობრიდან, რათა შემდეგ კონცენტრირებული ძალებით დაჰკრას სსრ კავშირს.
ვიშინსკი (პიატაკოვს): ეს თქვენ სთქვით? ადასტურებთ თუ არა ამას?
პიატაკოვი: დიაღ. რადეკი ძალიან ზუსტად გადმოგცემთ. ყველაფერი სავსებით სწორია.
ამის შემდეგ თავმჯდომარე ამხ. ულრიხი მიმართავს ექსპერტებს — მზად არიან თუ არა ისინი მისცენ დასკვნა სასამართლოს მიერ დაყენებულ კითხვებზე.
ექსპერტები ამხ. მონოსოვიჩი, ლეკუსი და პოკროვსკი იძლევიან თავიანთ დასკვნებს იმ კითხვებზე, რომლებიც დაკავშირებულია ბრალდებულების — ნორკინისა და დრობნისის დანაშაულებრივ დივერსიულ - მავნებლურ მუშაობასთან კემეროვოს კომბინატის მშენებლობაში; ბრალდებულების — შესტოვისა, და სტროილოვისა — „კუზბასუგოლში“ და ბრალდებულების რატაიჩაკისა და პუშინის — გორლოვკის აზოტ-სასუქის ქარხანაში. ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ ამ საწარმოებში მომხდარი ავარიები ბოროტი განზრახვით იყო მოწყობილი და აღნიშნა, რომ ბრალდებულთა მავნებლურმა მოქმედებამ და დივერსიულმა აქტებმა დიდი ზიანი მიაყენეს საბჭოთა სახელმწიფოს.
ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს:
— შემდეგი სხდომა, სისხლის სამართლის - საპროცესო - კოდექსის მე-19 მუხლის ძალით, იწარმოებს დახურულ კარებში.
სასამართლოს შემდეგი ღია სხდომა — 28 იანვარს, დღის 4 საათზე. (საქდესი).

სასამართლოს დახურული სხდომა

27 იანვარს საღამოს, სასამართლოს ღია სხდომის დამთავრების შემდეგ, შესდგა სსრ კავშირის უზენაეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიის დახურული სხდომა.
ამ სხდომაზე ექსპერტებმა ამხ. ლეკუსმა და პოკროვსკიმ წარმოადგინეს თავიანთი დასკვნა სასამართლოს მიერ დამტკიცებულ იმ საკითხებზე, რომლებიც სასამართლოს ღია სხდომაზე არ უნდა იქნეს განხილული.
შემდეგ მოწმე შტეინმა მისცა ჩვენება ერთერთი უცხო სახელმწიფოს ოფიციალურ წარმომადგენელთან თავისი კავშირის შესახებ.
დაკითხულ იქნენ ბრალდებულები პიატაკოვი, სოკოლნიკოვი, რადეკი. უცხო სახელმწიფოთა ოფიციალურ წარმომადგენლებთან მათი კავშირისა და ამ სახელმწიფოების წარმომადგენლებთან იმ მოლაპარაკებათა შესახებ, რომლებსაც ისინი მათთან აწარმოებდნენ. შესაბამისად ტროცკის გეზისა, რაც აღებული იყო იქეთკენ, რათა დაეჩქარებინათ ომი სსრ კავშირის წინააღმდეგ, ხელი შეეწყოთ უცხოეთის აგრესიული სახელმწიფოებისთვის სსრ კავშირის დამარცხებისა და მისი ტერიტორიის დანაწილების საქმეში. ბრალდებულ რადეკისა და სოკოლნიკოვის დაკითხვით აგრეთვე მათთვის სათანადო დოკუმენტების წარდგენით დადასტურებულ იქნა უცხო-სახელმწიფოთა იმ წარმომადგენლების პიროვნება და თანამდებობრივი მდგომარეობა, რომლებთანაც ბრალდებულები რადეკი და სოკოლნიკოვი მოლაპარაკებას აწარმოებდნენ.
ბრალდებულების რატაიჩაკის, კნიაზევის, ტუროკის, გრაშეს, შესტოვისა და სტროილოვის დაკითხვით დადასტურდა მათი კონკრეტული კავშირი უცხოეთის დაზვერვათა აგენტებთან ჯაშუშური და დივერსიული მუშაობის ხაზით, რასაც ისინი ეწეოდნენ სსრ კავშირში, როგორც ამ დაზვერვათა დავალებებით, ისე ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრის დავალებებითაც, — ტროცკის გეზის საფუძველზე.
ბრალდებულთა დაკითხვით, სათანადო საბუთების წაყენებითა და გამოქვეყნებით დადასტურებულ იქნა მოქ. ქ., მოქ. X. და სხვა პირთა გვარები და თანამდებობრივი მდგომარეობა, რომლებიც მოხსენებული არიან საბრალდებო დასკვნაში და რომლებიც ნახსენები იყვნენ სასამართლო გამოძიების დროს მათი გვარების გამოუქვეყნებლად.
იმავე დახურულ სასამართლოს სხდომაზე ბრალდებულები პიატაკოვი და რატაიჩაკი დაკითხულ იქნენ თავდაცვის მნიშვნელობის საწარმოებში მათი დანაშაულებრივი მავნებლური მუშაობის შესახებ.

მუშათა კლასის დიქტატურის რკინის ქუსლით გავსრისოთ სისხლიანი ტროცკიზმის საზიზღარი ნაბოლარები!

თბილისის რკინიგზის კვანძის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები, ექიმები, ხელოვნების მუშაკები 27 იანვარს შემდგარ მიტინგებზე უდიდესი სიძულვილით გაეცნენ შენიღბულ ტროცკისტ-დივერსანტის ბუდუ მდივნის, როზენცვეიგის და სხვათა ტერორისტულ საქმიანობას.
— ბრალდებული სერებრიაკოვი — ამბობენ მუშები — თავის ჩვენებაში აღნიშნავს, რომ ამიერკავკასიაში ჩაღდებოდა კონტრრევოლუციური მუშაობა, რომ ბუდუ მდივანი აცნობდა მათ ამხანაგ ბერიას წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მომზადების საკითხს, ხოლო პიატაკოვი, რადეკი, სერებრიაკოვი და სხვები იძლეოდნენ მითითებებს ტერორისტული აქტის მომზადების შესახებ სტალინის წინააღმდეგ. მდივანმა დაამყარა აგრეთვე კონტაქტი მენშევიკებთან.
ჩვენ მოვითხოვთ ეს ბოროტი ხალხი განადგურდეს ფიზიკურადაც!

○

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრის კოლექტივი მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში სწერს:
— უდიდესი ზიზღით გავეცანით ჯაშუშ-დივერსანტთა პიატაკოვის, რადეკის, სოკოლნიკოვის, სერებრიაკოვის, და სხვათა საქმეზე შედგენილ საბრალმდებლო დასკვნას. ისინი ფიქრობდნენ აყვავებული საბჭოთა კავშირი გადაექციათ ფაშიზმისა და იმპერიალიზმის კოლონიად, საზიზღარი გამცემლები წითელარმიელთა დასახოცავად მომწამვლელ ბაქტერიებსაც კი იყენებდნენ. მათს ცინიკურ ჩვენებებში მოსჩანს უდიდესი დაცემა. ისინი ხომ ადამიანები არ არიან, ისინი ადამიანის სხეულის მომწამვლელი ბაცილებია. მათი გეგმით, საბჭოთა კავშირში უნდა გაემარჯვა ცოფმორეულ ფაშიზმს, მილიტარიზმს. ეს არ მოხდება! არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს ჩვენი დაბრუნება უკან, — კაპიტალიზმისაკენ. ჩვენი მრავალერიანი, სტალინური კონსტიტუციის მქონე ქვეყნის მშრომელნი კიდევ უფრო განამტკიცებენ სოციალისტურ სამშობლოს სიძლიერეს და დაუნდობლად გასრესენ ხალხის მტრებს.

○

ზუგდიდის რაიონის პარტაქტივის კრებამ 26 იანვარს განიხილა კონტრრევოლუციურ - ტროცკისტული „პარალელური ცენტრის“ მონაწილეთა — პიატაკოვის, რადეკის, სოკოლნიკოვის და სხვათა საქმეზე შედგენილი საბრალმდებლო დასკვნა.
— ჩვენ გავეცანით კონტრრევოლუციურ ტროცკისტული „პარალელური ცენტრის“ მონაწილეთა საქმიანობას, — სწერენ პარტაქტივის კრების მონაწილენი. — ამ ტროცკისტ ჯაშუშების, დივერსანტების, სამშობლოს მოღალატეების დანაშაულებრივმა მოქმედებამ ჩვენში უდიდესი აღშფოთება და ზიზღი გამოიწვია. ჩვენ ერთსულოვნად მოვითხოვთ სოციალიზმის ამ დაუძინებელი მტრების გაცამტვერებას. ზუგდიდის რაიონის ბოლშევიკები მჭიდროდ არიან დარაზმულნი პარტიის გენერალური ხაზის გარშემო. სიტყვას ვიძლევით, რომ კიდევ უფრო ვავამახვილებთ შემდეგ რევოლუციურ - კლასობრივ სიფხიზლეს დაუნდობელნი ვიქნებით ჩვენი პარტიისა და ხალხის მტრებისადმი.
ზუგდიდის რაიონის პარტაქტივის კრება ერთსულოვნად მოითხოვს ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციური „პარალელური ცენტრის“ მონაწილეთა გასრესას პროლეტარული რევოლუციის რკინის ქუსლით.

◇ ◇ ◇

უცხოეთის პრესის გამოხმაურება ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრის გამო

„საკ. კ. პ. (ბ) პოლიტიკის გამარჯვებამ იძულებული გახადა ისინი ტერორის გზას დასდგომოდნენ“.

ვენა, 26 იანვარი. (საქდესი). შვეიცარიის კომუნისტური პარტიის ორგანო „ფრეიხეიტში“ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ემბერ-დრო ხაზს უსვამს, რომ განსაკუთრებით საკ. კ. პ. (ბ) პოლიტიკის გამარჯვებამ და საკუთარი თეორიების დამსხვრევამ იძულებული გახადა ტროცკისტები დასდგომოდნენ ისეთ დანაშაულობათა გზას, როგორიცაა ტერორი, მავნებლობა, ჯაშუშობა.
„სტალინის, სოციალისტური მშენებლობის ამ მამაცი ხელმძღვანელის, პოლიტიკის ტრიუმფი ტროცკისათვის ნიშნავდა იმას, რომ დაიმსხვრა ყალბი წინასწარმეტყველებანი და იმედები; ტროცკის იმედი ჰქონდა სამეურნეო სიძნელენი გამოეყენებინა შიდა აჯანყებების საპროვოკაციოდ, რაც საბჭოთა ხელისუფლების მარცხის მომასწავებელი იქნებოდა. იმის მაგივრად, რომ აღეარებინათ თავიანთი დამარცხება, ტროცკისტებმა აირჩიეს ბრძოლის განგრძობის გზა, და ამან დააყენა ისინი დასდგომოდნენ ფაშისტებთან კავშირის გზას, ტერორისა და მოღალატეობის გზას.

„უფრო მჭიდროდ დავირაზმოთ სსრ კავშირის გარშემო“

პრაღა, 27 იანვარი. (საქდესი). კომპარტიის ორგანო „რუდე პრავო“ დაწვრილებით ათავსებს ანგარიშს პროცესის მიმდინარეობის შესახებ და მთელ რიგ სტატიებში განმარტავს მის მნიშვნელობას.
აღნიშნავს რა საბჭოთა კავშირის განსაკუთრებულ მნიშვნელობას თავისუფლებისა და მშვიდობიანობისათვის ბრძოლაში, გაზეთი აცხადებს:
„ამიტომ თვითეულ პროლეტარს, თვითეულ ჭეშმარიტ დემოკრატსა და ანტიფაშისტს აოცებს ტროცკისტ-ბანდიტთა საზიზღარი ბოროტმოქმედების სისაძაგლე და აზარებს ის, რომ პროლეტარული დიქტატურის ხელმა ამოაჩინა ფაშიზმის ეს აგენტები და შეუძლებელი გახადა მათი შემდგომი საქმიანობა. ყოველ პატიოსან მუშას იპყრობს მხოლოდ ერთად - ერთი გრძნობა: საჭიროა სწორედ დღეს, რათა უფრო მჭიდროდ დავირაზმოთ სსრ კავშირის გარშემო, ამხანაგ სტალინის გარშემო, რომელიც სოციალიზმის გამარჯვების დროშას წარმოადგენს“.
სტატიაში „მოსკოვის პროცესი და ჩეხოსლოვაკიის მშრომელნი“ „რუდე პრავო“ აღნიშნავს, რომ ჩეხოსლოვაკიის ყველა მშრომელი უაღრესად დაინტერესებულია ტროცკისტების დამარცხებით, რომლებმაც ფაშისტურ გერმანიას აღუთქვეს „მოქმედების თავისუფლება“ დუნაის ბასეინში. გაზეთი სწერს:
„საბჭოთა იუსტიცია, იცავს რა სსრ კავშირს გერმანიის ფაშიზმის აგენტებისგან, ამით იცავს აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის მშრომელთ ჰიტლერის ფაშიზმისგან. ჩეხოსლოვაკიის ყველა მშრომელი აღფრთოვანებით მიესალმება საბჭოთა პროლეტარიატის სიფხიზლესა და ერთსულოვნად და ზიზღით უარყოფს ჩეხოსლოვაკელი ტროცკისტების საზიზღარ მახინაციებს, რომელნიც ცდილობენ მოსკოვის პროცესი გამოიყენონ ახალი ანტისაბჭოთა კამპანიის გაშლისთვის ჩეხოსლოვაკიაში.

ზიზღი და რისხვა ხალხის მტრებს

ძნელია აწერა აღშფოთებისა და წმინდა ფიზიკური გულისამრევი გრძნობისა, რომელიც განვიცადე, როდესაც გავეცანი საბრალდებო დასკვნის ტექსტს ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრის საქმის გამო და ბრალდებულთა ჩვენებებს.
ჩემს წინაშე მთელი თავისი საშინელებით გამოისახა ფაშისტური მხეცის საზიზღარი დინგი, ბანდიტთა, ტროცკისტულ გადაგვარებულთა საძაგელი სახე.
ყველანი ფიზიკურად უნდა მოისპონ, აღიგავონ პირისაგან მიწისა — ასეთია მუშათა, კოლმეურნეთა, მეცნიერთა, ხელოვნების მოღვაწეთა, საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქის, დიადი სამშობლოს ყველა ერთგული შვილის საყოველთაო ნებისყოფა.

პროფ. ნ. მუსხელიშვილი
სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის თავმჯდომარის მოადგილე.

○

უსაზღვრო ზიზღისა და აღშფოთების გრძნობით ეცნობა თვითეული საბჭოთა მოქალაქე საზიზღარი შპიონაჟის, ღალატის, სამშობლოს გამცემლობის სურათს, რომელსაც ასე ცინიკურად გვიხატავენ ამ ავაზაკური ეპოქის თვითონ ეს ბილწი „გმირები“.
საბჭოთა სასამართლო ჯეროვანს მიუზღავს სოციალისტურ სამშობლოს საზიზღარ მოღალატეებს. ხოლო ფაშისტ მტაცებლებს, თუ ისინი დააპირებენ ჩვენზე თავდასხმას, საქმე ექნებათ უძლეველ წითელ არმიასთან, რომელიც ეყრდნობა მძლავრ სოციალისტურ მრეწველობას და არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ მთელი მსოფლიოს მშრომელთა მრავალმილიონიან არმიას! (საქდესი).

პროფ. ა. ჯანელიძე.
ორდენოსანი.

○

ღრმა აღშფოთებისა და ზიზღის გრძნობით გავეცანი ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრის საზიზღარ ბანდიტთა ჩვენებებს.
ხალხის მტრებს, გამხეცებული ფაშიზმის აგენტებს უნდოდათ კაპიტალისტებისათვის მიეყიდნათ ჩვენი სოციალისტური სამშობლო. ეს მათ ვერ მოახერხეს.
მე მინდა ჩემი აღშფოთების ხმა შევუერთო მილიონთა ხმას, რომელნიც მოითხოვენ მოღალატეთა, სულით მახინჯ ტროცკისტთა ულმობელად დასჯას. სიკვდილი გამცემლებს.

დ. ანდღულაძე.
რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, ორდენოსანი.

○

კაცობრიობის საზიზღარ გადაგვარებულებს, ტროცკისტ ბანდიტებს დანაშაულზე წაასწრეს. კაცობრიობის ამ ნაძირალების უმაგალითო ვერაგობის, გათახსირებისა და სისაძაგლის წინაშე იჩრდილებიან ბოროტმოქმედთა კლასიკური სახენი — მსოფლიო ლიტერატურასა და ხელოვნებაში. გულისამრევი და ზიზღის გრძნობა გიპყრობს ადამიანს, როდესაც კითხულობ პიატაკოვის, რადეკის, სოკოლნიკოვის, სერებრიაკოვისა და სხვათა ჩვენებებს.
ტერორისტული აქტები აწყო ხალხის საყვარელ ხელმძღვანელთა წინააღმდეგ, ჰყიდო სამშობლო, ამზადო შენი ქვეყნის დამარცხება ხელი აღმართო მილიონობით ადამიანთა ბედნიერებისა და თავისუფლების წინააღმდეგ — ასეთი ვერაგობა, გათახსირება და დაცემა ისტორიამ ჯერ არ იცის.
გაცოფებულ ძაღლებს სპობენ. ჯაშუშებს, დივერსანტებს, მუშათა და წითელარმიელთა საზიზღარ მკვლელებს — ადგილი არ უნდა ექნეთ საბჭოთა მიწა-წყალზე.

გ. დავითაშვილი
რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ორდენოსანი.

მოვითხოვთ სამშობლოს საზიზღარ გამცემლებთან დაუნდობლად გასწორებას

საბჭოთა კავშირის მეცნიერმა მუშაკებმა აღშფოთებისა და დიდი გულისწყრომის გრძნობით შეიტყეს საძაგელი ტროცკისტების — სამშობლოს საზიზღარი მოღალატეების საშინელი ბოროტმოქმედება, რომელთა გამცემლურ საქმიანობას ამჟამად არკვევს საბჭოთა სასამართლო.
ერთი მუჭა სალახანა მახინჯი ადამიანები, ფაშისტ კაციჭამიათა მსახურნი, ფაშისტების მიერ მსყიდულნი, რომელთაც გესტაპოს აგენტი — ბანდიტი ტროცკი ხელმძღვანელობდა, შეუთანხმდნენ ზოგიერთი აგრესიული იმპერიალისტური სახელმწიფოს დიპლომატებსა და გენერალურ შტაბებს და ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს და მის სიმდიდრეებს კაცობრიობის პროგრესის უბოროტეს მტრებზე ჰყიდდნენ.
ჟუჟულმა გამცემლებმა მოაწყეს თავდასხმა თანამედროვე ეპოქის საუკეთესო ადამიანებზე, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ხელმძღვანელებზე, მოაწყეს გაუგონარი მავნებლური აქტები სოციალისტურ ქარხნებში, შახტებში და რკინიგზის ტრანსპორტზე, ჰხოცავდნენ ჩვენს გმირ სტახანოველებს, ჩვენს სახელოვან მამაც წითელარმიელებს, სძარცვავდნენ საბჭოთა სახელმწიფოს, რათა შეენახათ ტროცკისტების ხროვა და დაეფინანსებინათ მათი დანაშაულებრივი მუშაობა.
ისწრაფოდნენ რა ძირი გამოეთხარათ სოციალიზმის დიადი ქვეყნის სამხედრო და სამეურნეო ძლიერებისათვის, კაპიტალიზმის ერთი მუჭა საზიზღარი რესტავრატორები ცდილობდნენ გაეადვილებინათ ფაშისტებისათვის თავისი ზრახვების განხორციელება — სსრ კავშირის ტერიტორიის ხელში ჩაგდება, კაპიტალიზმის აღდგენა, ისინი ოცნებობდნენ ჩვენს ქვეყანაში კაპიტალისტებისათვის ძალაუფლების დაბრუნებაზე, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ლიკვიდაციაზე, საბჭოთა ხალხის დამონავებაზე, უმუშევრობის, სილატაკისა და შიმშილის დანერგვაზე; მათ უნდოდათ წაერთმიათ საბჭოთა ხალხისათვის დიადი მონაპოვარნი, ჩაწერილნი სტალინურ კონსტიტუციაში.
მოვითხოვთ ჩვენი საბჭოთა სასამართლოსაგან საზიზღარ გამცემლებთან დაუნდობლად გასწორებას, მოვითხოვთ საზიზღარ მახინჯთა მოსპობას.
ჩვენ მოვითხოვთ აგრეთვე ბოლომდე იქნას გამოძიებული მემარჯვენე გარეწართა — ბუხარინის, რიკოვის, უგლანოვის მონაწილეობა ტროცკისტების დანაშაულებრივ საქმიანობაში და მათ მიცემას უაღრესად მკაცრ პასუხისგებაში.
მეცნიერი მუშაკები მთელ თავის ცოდნას და ძალღონეს შესწირავს ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს შემდგომ კიდევ უფრო მეტად სწრაფ ზრდასა და აყვავებას, წითელი არმიის — საბჭოთა საზღვრების ერთგული გუშაგის ძლიერების შემდგომ განმტკიცებას.
მეცნიერი მუშაკები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად კიდევ უფრო შემჭიდროვდებიან კომუნისტური პარტიის მისი ცენტრალური კომიტეტისა და საყვარელი ბელადისა და მეგობრის ამხანაგ სტალინის ირგვლივ!

მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსი
ვ. კომაროვი
სამეცნიერო - ტექნიკური ძალების სრულიად-საკავშირო ასოციაციის ცენტრალ. ბიუროს თავმჯდომარე - აკადემიკოსი **ა. ბახი**
უმაღლესი სკოლის და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე პროფ. **ს. ვალესკალნი**
მეცნიერ მუშაკთა სექციის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე-აკადემიკოსი
ბ. კელერი.
აკადემიკოსები: ა. არხანგელსკი, ნ. ვავილოვი, ნ. გორბუნოვი, ი. გუბკინი, გ. კრჟიჟანოვსკი, ა. ტერპიგორევი.
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწენი: პროფ. ნ. ობრაზცოვი, ორდენოსანი პროფესორი — ე. პავლოვსკი. პროფესორი — ა. სპერანსკი. პროფესორები: ვ. ვეგერი, ვ. ვისოცკი, პ. ზრიდოვსკი, გ. ლავრენტიევი, ი. რაზენკოვი, გ. ფედოროვი.

◇ ◇ ◇

ბუხარინი, რიკოვი, უგლანოვი — უნდა დავსვათ ბრალდებულთა სკამზე

მოსკოვი, 27 იანვარი. (საქდესი). ტროცკისტ ბანდიტთა კავშირმა მემარჯვენე არამზადებთან, რაც ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრის პროცესზე გამოირკვა, უდიდესი აღშფოთება გამოიწვია სტალინის სახელობის ავტოქარხნის (მოსკოვი) 45 ათასიან კოლექტივში.
ყველა საამქროში გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგები.
საშტამპო-საწნეხო საამქროში მიტინგზე გამოსულმა ამხ. ლუკიანოვმა განაცხადა:
— ჩვენთვის ცხადია, რომ არა მარტო ტროცკისტებს, არამედ მემარჯვენეებსაც — ბუხარინს, რიკოვს, უგლანოვსა და სხვებს — ჰქონდათ თავიანთი არალეგალური კონტრრევოლუციური ცენტრი. ჩვენ ახლა ვიცით, რომ მემარჯვენენიც, როგორც ტროცკისტები, ვერ ჰპოვებდნენ რა ვერავითარ დასაყრდენს ხალხში, მიდიოდნენ გამცემლობაზე, ტერორზე. მაგრამ ისინი გამომჟღავნებული არიან და ჩვენ მოვითხოვთ პასუხისგებაში მათს მიცემას.
მიტინგებზე მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია:
„ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრიდან საზიზღარ გამცემლებთან ერთად მემარჯვენე გადაგვარებულნი ლამობდნენ დეეხოცათ ჩვენი სამშობლოს საუკეთესო ადამიანები, ჩვენი საყვარელი ბელადები, მთელი მსოფლიოს ჩაგრულთა ბრძენი ბელადი და მეგობარი, ჩვენი მშობლიური სტალინი.
ჩვენი ქვეყანა — უაღრესი, ნამდვილი ჰუმანიზმის ქვეყანაა. მაგრამ, ჩვენი ხალხი დაუნდობელია მტრის მიმართ, იგი პირისაგან მიწისა აღგვის ყველას, ვინც შეეცდება ხელი აღმართოს მის მონაპოვართა წინააღმდეგ. ბრალდებულთა სკამზე უნდა დავსვათ გამცემლობის, ღალატის, ტერორის თანამონაწილენი — მემარჯვენე გადაგვარებულნი ბუხარინი, რიკოვი, უგლანოვი და სხვები“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფოთის რადიო კვანძის შენობა, რომელშიაც მოთავსებულია 500 ვატიანი რადიომიმღები 1500 წერტის ტევადობით და საკუთარი კულტურულად მორთული სტუდიით ადგილობრივი გადაცემისათვის.

რადიოფიკაციის განვითარება მაღალ საფეხურზე!

კავშირგაბმულობის სისტემაში ერთერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რადიოფიკაციის დარგს. რადიო თანამედროვე მეცნიერების უდიდესი მიღწევაა და მის ზრდასა და განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მასების კულტურული დონის ამაღლებისათვის. რადიო ცოცხალი აგიტატორია, რომლის საშუალებით მშრომელი მასები გულდასმით ისმენენ როგორც სიმღერა-კონცერტებს, ისე ახალ ინფორმაციებსა და მოხსენებებს ადგილობრივ და საერთაშორისო საკითხებზე. რადიო მძლავრი იარაღია პარტიისა და ხელისუფლების ხელში თავისი უმნიშვნელოვანესი დადგენილებებისა და ღონისძიებების მასებისათვის გასაცნობად.

რადიოფიკაცია საქართველოში უკანასკნელი წლების მანძილზე უაღრესად განვითარდა. გარდა თბილისისა, ჩვენ გვაქვს სანიმუშოდ მოწყობილი მძლავრი რადიოკვანძები ქუთაისში, გორში, ბათომში, სამტრედიასა და ფოთში. წინა წლებთან შედარებით რადიოფიკაციის მიღწევები უაღრესად დიდი იყო გასულ წელს. ამ წელს აშენდა ახალი რადიოკვანძები თიანეთში, ბაღდათში, ახპინძაში, ლაითურის საბჭოთა მეურნეობაში, მოეწყო ორი ავტომატური ქვესადგური თბილისში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ზოფელ მამათის (ლანჩხუთის რაიონი) კოლმეურნეთა ინიციატივა. აქ გასულ წელს კოლმეურნეებმა რადიოცენტრს კოლმეურნეთა სახსრებით ააგებინეს 9-ვატიანი სადგური ასი რადიოწერტით რაიონისაგან დამოუკიდებლად. სადგურის აგებით ძალიან დაინტერესდნენ კოლმეურნეები და მოითხოვეს სადგურის გადიდება. იმავე წელს სადგური გააფართოვეს, დადგეს 30-ვატიანი რადიოსატრანსლაციო სადგური 300 წერტით და ამჟამად თითქმის ყველა კოლმეურნეს სახლში აქვს რადიო.

გარდა იმისა, რომ ისინი რადიოს საშუალებით ისმენენ სხვადასხვა ქალაქის გადაცემებს, კოლმეურნეობის თავმჯდომარე დილაობით რადიოთი აწყობს კოლმეურნეების ბინებზე გამოძახებას და ოჯახიდან პირდაპირ სამუშაოზე ანაწილებს მუშახელს. ეს ზრდის კოლმეურნეთა შრომის ნაყოფიერებას და ხელს უწყობს კოლმეურნეების შეძლებულ და კულტურულ ცხოვრებას. მამათელი კოლმეურნეების მაგალითი სანიმუშო უნდა გახდეს დანარჩენი კოლმეურნეობებისთვისაც.

მაგრამ ყველა რაიონი როდი აძლევს ასეთ მნიშვნელობას რადიოს მშენებლობას. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: რადიოფიკაციის განვითარების საქმეში ძალიან ჩამორჩება საგარეჯოს, ცაგერის, ამბროლაურის, ონის, ყაზბეგისა და სხვა რაიონები. წულუკიძის რაიონში გასულ წელს რადიოქსელის მოსაწესრიგებლად რაიაღმასკომმა გადასდო 9 ათასი მანეთი. აღნიშნული თანხიდან რადიოფიკაციას მოხმარდა 60 პროცენტი მაგრამ ეს თანხაც უთავბოლოდ მუშაობაზე დაიხარჯა. აქ რადიოფიკაციის სამუშაოები მიანდეს უკვალიფიკაციო ტექნიკოსს არჩვაძეს, რომელმაც თავი ვერ გაართვა ნაკისრ ვალდებულებას და რადიოფიკაციის საქმე ჩაშალა. საგარეჯოსა და ცაგერის რაიონებში რადიოქსელის მუშაობა შეჩერებულია ელექტროქსელის უხეირო რემონტის გამო.

რადიოს მუშაობას და მის სწრაფად განვითარებას ძალიან უშლის ხელს აგრეთვე რადიოს სააბონენტო გადასახადის თავის დროზე გადაუხდელობა. მაგალითად, ფოთის რადიოსადგურის ტევადობა უდრის 1.500 წერტს. გასულ წელს კი აქ ათვისებული იყო 340 წერტი. ამ 340 წერტის მფლობელთა დავალიანება გასული წლის 1 ნოემბრისათვის უდრიდა 5.000 მანეთს. მაგრამ ფოთის ორგანიზაციებმა და მშრომელებმა გაძლიერებულ სოციალისტურ მშენებლობასთან ერთად რადიოფიკაციის საქმესაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს და რადიოქსელით სარგებლობის დავალიანება პირველი იანვრისათვის მთლიანად აიკრიფა. ამავე დროს მიმდინარე წლის პირველ კვარტალში რაიონს მიზნად აქვს დასახული რადიოწერტების რიცხვი გაადიდოს 1200 მდე.

გარდა ამისა, რადიოფიკაციის საამშენებლო ჯგუფმა შესძლო 20 რაიონის რადიოკვანძის მთლიანი რეკონსტრუქცია ხაზების შეკეთებით.

მიმდინარე წლის გეგმით საქართველოს 11 რაიონულ ცენტრში მოეწყობა ახალი რადიოკვანძი. მოხდება 28 კვანძის რეკონსტრუქცია, ახალი ხაზები გაჭიმდება 500 კილომეტრის მანძილზე, ხოლო 669 კილომეტრზე მოხდება არსებული ხაზების რეკონსტრუქცია.

განსაკუთრებული ყურადღება რადიოფიკაციის განვითარებას და ტექნიკური მომსახურების გაუმჯობესებას როგორც რადიოცენტრისა, ისე რაიონების ხელმძღვანელი ორგანიზაციების მხრით—ასეთია ახლა ამოცანა. მუშაობის სტახანოვური მეთოდების დანერგვით უნდა უზრუნველვყოთ რადიოფიკაციის მიმდინარე წლის გეგმების შესრულება.

ერ. ჩიგოგიძე.

საქ. კავშირგაბმულობის ინსპექტორი

ესპანელი ხალხისადმი სოლიდარობის დემონსტრაცია

27 იანვარს რუსთაველის სახელობის ორდენოსანმა თეატრმა დასდგა გმირი ესპანელი ხალხისადმი მიძღვნილი სპექტაკლი—გ. მდივნის პიესა „ალკაზარი". გაჭედილი დარბაზი სულგანაბული ადევნებდა თვალყურს სცენაზე გადაშლილ მღელვარე ამბებს და მქუხარე ტაშით აჯილდოვებდა რესპუბლიკის მამაც დამცველებს.

მეორე აქტის შემდეგ სცენაზე გამოვიდა პიესის ყველა შემსრულებელი თეატრის სამხატვრო ნაწილის ხელმძღვანელის, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის აკ. ვასაძის მეთაურობით. ვასაძემ აღნიშნა, რომ ლენინის ორდენოსანმა რუსთაველის თეატრმა „ალკაზარი" უძღვნა თავისუფლებისათვის მებრძოლ ესპანელ ხალხს; ვასაძემ წინადადება შეიტანა მისალმების დეპეშა გაეგზავნოს რესპუბლიკური ესპანეთის დამცველებს.

მთელი დარბაზის ტაშის გრიალში მიღებულ იქნა შემდეგი მისალმება ესპანეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ასანიას, პრემიერ-მინისტრის ლარგო კაბალიეროს, ესპანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ხოზე დიასის, ესპანეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის დოლორეს იბარურისა და მადრიდის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის გენერალ მიახას სახელზე:

— „საქართველოს სახელმწიფო დრამატიული, ლენინის ორდენოსანი რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექტივი მხურვალე სალამს უგზავნის ესპანეთის ხალხს მისი მძიმე განსაცდელის დროს.

მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად ღრმა მღელვარებით ვადევნებთ თვალყურს ესპანელი ხალხის გმირულ ბრძოლას ესპანეთისა და მსოფლიო ფაშიზმის წინააღმდეგ.

ჩვენ სამარცხვინო ბოძზე ვაკრავთ ფაშისტ ბარბაროსებს, რომლებიც ხელჰყოფენ ესპანეთის რესპუბლიკის კანონიერ უფლებებს და რომლებსაც მოაქვთ სიკვდილი, დაღუპვა და კულტურის ნგრევა.

ყველაფერი ეს ხდება იმ დროს, როდესაც ჩვენმა ხელოვნებამ, თავისუფალი საქართველოს ხელოვნებამ, სტალინური კონსტიტუციით გაბრწყინვებულმა, გვიჩვენა თავისი მიღწევები, რომლებმაც მაღალი შეფასება მიიღეს არა მარტო მოსკოვში, არამედ მთელ კავშირში.

ქართველი დრამატურგის გიორგი მდივნის „ალკაზარის" დღევანდელ სპექტაკლზე ჩვენ შევეცადეთ აგვესახა ესპანელი ხალხისა და ესპანეთის კომუნისტური პარტიის მიერ ფაშიზმის წინააღმდეგ წარმოებულ გმირულ ბრძოლათა მხოლოდ ერთი ეპიზოდი.

სავსე დარბაზი დიდი მღელვარებით ადევნებდა თვალყურს ყოველ სცენას, სა. ხელოვან გმირთა — რესპუბლიკური ესპანეთის მამაც დამცველთა ყოველ მოძრაობას და მქუხარე ტაშით ეგებებოდა რესპუბლიკური ჯარის გამარჯვებებს.

ეს სპექტაკლი გადაიქცა საბჭოთა საქართველოს მშრომელთა სოლიდარობის მძლავრ დემონსტრაციად ესპანელი ხალხისადმი, რომელიც რესპუბლიკის გულს—მადრიდს გმირულად იცავს გენერალ ფრანკოს გამხეცებული ურდოებისაგან.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ესპანეთის ხალხი გამარჯვებული გამოვა ამ მძიმე განსაცდელიდან და შესძლებს დაიცვას თავისუფლება ისევე, როგორც დიდი საბჭოთა კავშირის ხალხებმა დაიცვეს თავიანთი თავისუფლება".

◇ ◇

აფხაზური დამწერლობისა და ლიტერატურის ფუძემდებელი

დ. ი. გულიას სალიტერატურო სამეცნიერო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 45 წლისთავი.

სოხუმი, 26 იანვარი. (საქდესი). 30 იანვარს სრულდება აფხაზეთის უხუცესი მწერლის, აფხაზური დამწერლობისა და ლიტერატურის ფუძემდებლის დიმიტრი იოსების ძე გულიას სალიტერატურო და სამეცნიერო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 45 წლისთავი.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ცაკის პრეზიდიუმმა შექმნა საიუბილეო კომისია აფხაზეთის ცაკის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. დ. ქუჩულორიას თავმჯდომარეობით.

იუბილეს დღისათვის აფხაზეთის სახელგამი გამოსცემს დ. ი. გულიას რჩეულ ნაწარმოებთა კრებულს აფხაზურ, ქართულ და რუსულ ენებზე.

30 იანვარს აფხაზეთის სახელმწიფო თეატრში გაიმართება საიუბილეო საღამო, რომელზეც მოწვეული არიან წარმომადგენლები სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირისა, უკრაინის, აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს (უკანასკნელის განყოფილებებით აჭარასა და სამხრეთ-ოსეთში) საბჭოთა მწერლების კავშირებისა, აგრეთვე იუბილარის სოფლის კოლმეურნეები.

ადგილობრივი მრეწველობის კომისარიატში

საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის კომისარიატი წელს მშენებლობაზე დააბანდებს 17.615.000 მანეთს. აქედან: მიმდინარე წლის დამლევისათვის ძირითადად დამთავრდება თბილისის სამუსიკო ინსტრუმენტების ახალი ფაბრიკის მშენებლობა. ფაბრიკა წელიწადში გამოუშვებს 3.000 პიანინოს; მის მშენებლობაზე წელს დაიხარჯება 2.500.000 მანეთი.

წელს უნდა დამთავრდეს გუმბრინის ქარხნის მშენებლობა ქუთაისის რაიონში. ამ მიზნით გათვალისწინებულია 455.000 მანეთის დახარჯვა. ახალი საშენი მასალის (თეძამის ტუფი) ექსპლოატაციისათვის გადადებულია 680.000 მანეთი; ქობულეთში დაიწყება კერამიკული მილების ქარხნის მშენებლობა, რისთვისაც დაიხარჯება 1.000.000 მანეთი; სამხრეთ-ოსეთში დამთავრდება ტალკის (ერთგვარი მიწაა, იხმარება ქაღალდის წარმოებაში, როგორც გამწმენდი ნივთიერება) ქარხნის მშენებლობა, რაზედაც დაიხარჯება 120.000 მანეთი.

გარდა ჩამოთვლილი სამუშაოებისა, წელს გაგრძელდება 26 კომუნარის სახ. ქარხნის რეკონსტრუქცია საფეიქრო მანქანათმშენებლობის განხრით, რაზედაც დაიხარჯება 750.000 მანეთი; კალინინის სახელობის ქარხანასთან დამთავრდება საწოლების საამქროს მშენებლობა, რაზედაც დაიხარჯება 480.000 მანეთი. კახეთის სახურავი ფიქალების წარმოება 1937 წლის განმავლობაში მიიღებს 800.000 მანეთს და გამოუშვებს 200.000 კვადრატულ მეტრ სახურავ ფიქალს.

კორპუსის მეთაურის ამხ. ლ. ი. ვაინერის დაჯილდოება

სსრ კავშირის ცაკის დადგენილებით, სამხედრო ნაწილების საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების საქმეში დიდი დამსახურებისათვის კორპუსის მეთაური ამხ. ლ. ი. ვაინერი დაჯილდოვებულია ლენინის ორდენით.

„საქთევზის" ბათომის განყოფილების მთელმა რიგმა ბრიგადებმა იანვრის პირველი რვა დღის განმავლობაში თევზისჭერის პირველი კვარტალის გეგმა 50 პროცენტზე მეტით შეასრულეს. სურათზე: „საქთევზის" ბათომის განყოფილების ერთერთი საუკეთესო ბრიგადირი ამხ. სკრიპნიჩენკო.

ფოტო სტოლიაროვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

პუშკინის დღეები

თბილისის სახ. კონსერვატორიაში

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიამ დიდი მუშაობა გასწია ალ. პუშკინის საიუბილეო დღეების წარმატებით აღნიშვნისათვის.

იუბილესთან დაკავშირებით კონსერვატორია სდგამს ნაწყვეტებს იმ ოპერებიდან, რომლებიც დაწერილია პუშკინის ნაწარმოებთა მიხედვით („ევგენი ონეგინი", „პიკის ქალი", „ალეკო", „მაზეპა" და სხვ.). ყველა ეს ნაწარმოები კონცერტების სახით დაიდგმება თბილისის მუშათა კლუბებსა, სკოლებსა და კულტურულ დაწესებულებებში თებერვლის პირველი რიცხვებიდან.

პროგრამის პირველ ნაწილში შეტანილია მოხსენებები ალ. პუშკინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, მეორე ნაწილში შედის სპექტაკლები, ხოლო მესამე ნაწილში კონცერტები რომანსებიდან პუშკინის ლექსების მიხედვით.

კონცერტებს მართავს კონსერვატორიასთან არსებული საოპერო კლასი, რომელსაც ხელმძღვანელობენ რეჟისორები აკ. ფალავა და კ. მიქაბერიძე, დირიჟორები: შტეინბერგი და ბახტაძე.

◇

წერილი რუსთაველის შემოქმედებაზე ტაჯიკურ ჟურნალში

რუსთაველის ინსტიტუტმა მიიღო ტაჯიკისტანის საბჭოთა მწერლების კავშირის ცენტრალური ორგანოს, ჟურნალ „სოციალისტური მწერლობისათვის" („ბაროი ადაბიოთი სოციალისტი") 1936 წლის ოქტომბრის თვის მეათე ნომერი, რომელშიაც მოთავსებულია თბ. სახ. უნივერსიტეტის ასპირანტ დ. კობიძის წერილი ტაჯიკურ ენაზე: „შოთა რუსთაველი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი" („შოთა რუსთაველი ვა დორულფუნუნი დავლათი თიფლის").

წერილში გადმოცემულია რუსთაველის დაბადების 750 წლისთავის აღნიშვნის მზადებასთან დაკავშირებით თბ. სახ. უნივერსიტეტის მიერ გაწეული მუშაობის ყველა სახე. „ვეფხის-ტყაოსნის" მოკლე შინაარსი და მცირე თეორიები პოემის სიუჟეტის სადაურობის შესახებ. წერილის დასასრულ ლაპარაკია აღმოსავლეთის ხალხთა ძველი ყოფაცხოვრებისა და კულტურის შესწავლის თვალსაზრისით „ვეფხის-ტყაოსნის" მსოფლიო ლიტერატურულ - მეცნიერულ მნიშვნელობაზე.

ჟურნალის რედაქცია ამხ. დ. კობიძის წერილს უკეთებს შემდეგ შენიშვნას: „ქართული მწერლობისა და აღმოსავლეთის მოძმე ხალხთა კულტურული ურთიერთობის გაცნობა - შესწავლისათვის, თბ. სახ. უნივერსიტეტის ასპირანტ დ. კობიძის წერილი წარმოადგენს დიდ ნაბიჯს. ჩვენი ჟურნალის მომავალ ნომრებში მოვათავსებთ წერილებს როგორც შოთა რუსთაველის, ისე თანამედროვე მოწინავე ქართველი მწერლების შესახებაც".

◇

მშენებლობა წალენჯიხაში

მეფისდროინდელმა საბოქაულომ წალენჯიხამ სავსებით იცვალა სახე. აშენდა მრავალი კულტურული დაწესებულება, ადმინისტრატიული და კოოპერატიულ ორგანიზაციათა შენობები, სასტუმრო, ელსადგური და სხვ.

საქ. კ. პ. (ბ) წალენჯიხის რაიკომისა და რაიაღმასკომის თაოსნობით წელს წალენჯიხაში აშენდება 50-საწოლიანი საავადმყოფო. საავადმყოფოს ასაგებად გადადებულია 432 ათასი მანეთი. ააშენებენ აბანოს, რომელიც 40 ათასი მანეთი დაჯდება, გაფართოვდება ელექტროსადგური, გაიხსნება საბავშვო ბაგები, სამალარიო პუნქტი, ახალ საბინაო მშენებლობაზე დაიხარჯება 35 ათასი მანეთი. რაიონულ მაღაზიას ექნება ახალი, კულტურულად მოწყობილი შენობა, რომლის ასაგებად გათვალისწინებულია 85 ათასი მანეთი.

◇

ახალი ამბები

○ წელს უნდა დამთავრდეს თბილისის ახალი სამკერვალო ფაბრიკის მშენებლობა. მშენებლობის დასამთავრებლად საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა გადასდო 670.000 მანეთი.

○ სტალინის რაისაბჭომ მეორე მთლიანი დისპანსერის რეკონსტრუქციისათვის გაიღო 60.000 მანეთი. რეკონსტრუქციის შემდეგ დისპანსერთან მოეწყობა კაბინეტები რენტგენისა, სადიაგნოზო და სხვა.

○ ფოთში დამთავრდა ახალი 36-საწოლიანი საბავშვო ბაგის მშენებლობა. მშენებლობაზე დაიხარჯა 129.000 მანეთი.

○ თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების საკურორტო სამმართველო მომავალი წლიდან წყნეთში ხსნის ბავშვთა სანატორიუმს 50 საწოლით. სანატორიუმი იმუშავებს მთელი წლის განმავლობაში.

თბილისის სადგურის უფროსის მოადგილე სტახანოველი ამხ. ჩიტაიშვილი სანიმუშო მუშაობისათვის ექვსჯერ არის დაჯილდოვებული. სურათზე: ამხ. ჩიტაიშვილი თავისი ოჯახის წევრებს უკითხავს სტალინურ კონსტიტუციას.

ფოტო ი. ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.).

საბავშვო მხატვრული ლიტერატურის გამოცემები

სახელგამის ახალგაზრდობისა და საბავშვო ლიტერატურის სექტორმა გასულ წელს გამოსცა 38 სახელწოდების წიგნი და საწარმოო გეგმა წარმატებით შეასრულა. გამოსულ საბავშვო წიგნებს შორის აღსანიშნავია შიო მღვიმელის ლექსების I ტ. შალვა თაბუკაშვილის რედაქციით და წინასიტყვაობით. ამ ტომში შევიდა შ. მღვიმელის საბავშვო ლექსების უმრავლესობა.

ორჯერ გამოიცა ნ. ოსტროვსკის შესანიშნავი რომანი „როგორ იწრთობოდა ფოლადი". მცირეწლოვანთათვის დაიბეჭდა „ცხელი ქვეყნის მცენარეები" მარშაკისა, „მისტერ ტვისტერი" მარშაკისა, „მზე მაღიდაზე" —ილინისა, „მზიანი"—ე. ჩუკოვსკისა. გამოიცა აგრეთვე ჟიულ ვერნის — „საიდუმლო კუნძული".

დაბეჭდილია და უახლოეს ხანში ბაზარზე გამოვა ვიქტორ ჰიუგოს „კაცი, რომელიც იცინის" (ელენე ახვლედიანის ფერადი სურათებით), კრილოვის იგავ-არაკები (თარგმანი აკ. წერეთლისა), ბიჩერ სტოუს „ბიძია თომას ქოხი", რასპეს „ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი" (ი. ტიმოფეევის ფერადი სურათებით), სერვანტესის „დონ-კიხოტი", პირველი და მეორე წიგნი (ელ. ახვლედიანის ფერადი სურათებით), გ. ქუჩიშვილის „ფრინველები" (დასურათებული მხატვარ არ. გეპნერის მიერ) და სხვ.

მიმდინარე წელს სექტორს განზრახული აქვს გამოსცეს 44 სახელწოდების წიგნი—სულ 237 საავტორო ფორმა. გამოვა სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკები (წიგნიდან „სიბრძნე-სიცრუისა"), ნინო ნაკაშიძის, ი. თურდოსპირელის, ი. მოსაშვილისა და ბორის ჩხეიძის საბავშვო მოთხრობები, ა. ჩაჩიბაიას მოთხრობა „ბუთულა"—წითელი არმიის ცხოვრებიდან, ლ. მეგრელიძის მოთხრობა „ბუბა და ლელა", გ. ნახუცრიშვილისა და ბ. გამრეკელის პიესა „ნაცარ-ქექია", ელ. პოლუმორდვინოვის ისტორიულ-რევოლუციური რომანი „მზე კიდევ ამოვა", ვ. ციციშვილის ლექსების წიგნი, გ. კაჭახიძის „საბავშვო ლექსები", ი. ბალიაშვილის „ილიას ბიოგრაფია" და სხვ.

ოქტომბრის 20 წლისთავისათვის დაიბეჭდება მარგო თომაძის „ბედნიერი ბავშვობა", ა. კოჩლავაშვილის „ფოლადის არწივები" (საბჭოთა ავიაციაზე).

განზრახულია სკოლამდელთათვის გამოიცეს ი. გრიშაშვილის, მარიჯანის, დაფნარელის და ს. ულენტის დასურათებული წიგნები. ყურადღება ექცევა ფოლკლორის მასალებსაც. გამოვა ქ. სიხარულიძის მიერ შედგენილი ზღაპრების წიგნი და დოც. ე. ვირსალაძის მიერ შედგენილი „ხალხური გამოცანები".

რუსი და უცხოელი მწერლებიდან გამოიცემა: მ. გორკის „ბავშვობა", კოროლენკოს „ბრმა მემუსიკე", ფურმანოვის „ჩაპაევი", ფ. კუპერის „მერსედეს კასტილიელი", ჟ. ვერნის „კაპიტან გრანტის შვილები", ჯეკ ლონდონის „რჩეული მოთხრობები", პუშკინის „ზღაპრები" (თარგმნილი ვ. გაფრინდაშვილის მიერ) და სხვ.

გარდა ამისა, სახელგამის ახალგაზრდობისა და საბავშვო ლიტერატურის სექტორი წელს პარტიისა და მთავრობის დირექტივების საფუძველზე გამოსცემს „სასკოლო ბიბლიოთეკის" სერიის წიგნებს. განზრახულია გამოიცეს 100 სახელწოდების წიგნი ათ სერიად, რომელშიაც შევა როგორც მხატვრული, ისე პოლიტიკური და სამეცნიერო ლიტერატურა. პირველ რიგში გამოვა შ. რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსანი", ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალ. ყაზბეგისა და ეგნატე ნინოშვილის რჩეული ნაწერები. (ორ-ორი ტომად თვითეული), გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯი" და „გულქანი", ალ. ჭავჭავაძისა და ნ. ბარათაშვილის ლექსები, ლ. არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი", დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე", იაკობ ხუცესის „წამებაი წმიდისა შუშანიკისი", კ. ლორთქიფანიძის „ძირს სიმინდის რესპუბლიკა", მ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი", ალ. მაშაშვილისა და გ. ტაბიძის რჩეული ლექსები, კრებული „ლენინი და სტალინი ხალხურ შემოქმედებაში" (ამხ. მ. ჩიქოვანის რედაქციით).

შემთხვევები

ქურდების დაპატიმრება. საქ. მილიციის სამმართველოს სისხლის სამართლის განყოფილებამ უკანასკნელ დროს დააპატიმრა რამდენიმე ქურდი, რომლებსაც აღმოაჩნდათ ნაქურდალი ნივთები და სხვადასხვა ინსტრუმენტი, ნაქურდალი ნივთების დიდი რაოდენობით ამასწინათ დააპატიმრეს ქურდი-რეციდივისტი ვ. მ. მიტიურევი, რომელსაც აღმოაჩნდა ქალის ტანსაცმელი, ოქროს ნივთები და სხვ. მიტიურევმა განაცხადა, რომ მან ეს ნივთები მოიპარა მატარებელში მძინარე მგზავრს სადგურ სანდარის მახლობლად. ქურდებს გ. ა. ტოპორევს და ქ. ვ. კოვალენკოს (წინათ რეგისტრაციაში გატარებული არიან სიმოვის და დუტოვის გვარით) აღმოაჩნდათ ნაქურდალი ნივთები. ქურდებმა განაცხადეს, რომ ეს ნივთები მით მოჰპარეს რომელიღაც მგზავრს თბილისის ვაგზალზე. დაზარალებულთ შეუძლიათ გამოცხადდნენ სისხლის სამართლის მილიციაში ნივთების გამოსაცნობად.

„გასტრონომის" მაღაზიაში ჯიბგირობის ცდის დროს დააპატიმრეს ვ. ვ. რეზნიკოვი. ქურდ-რეციდივისტი ა. ა. გაბუნია დააპატიმრეს საქურდო ინსტრუმენტებით.

გასული წლის 7 ნოემბერს ჩხუბის დროს ი. ა. მეხიშვილმა დანით მოჰკლა თავისი ნათესავი მოქ. ფ. პაპიაშვილი (გოგებაშვილის ქ. 3). მკვლელობის შემდეგ მეხიშვილი მიიმალა და არალეგალურად ცხოვრობდა. 20 იანვარს მეხიშვილი გამოცხადდა ორჯონიკიძის რაიონის პროკურატურაში და განაცხადა, რომ მობეზრდა მალულად ცხოვრება და სურს მოიხადოს დამსახურებული სასჯელი ჩადენილი ბოროტმოქმედებისათვის. მეხიშვილი დააპატიმრეს. მისი საქმის გამოძიება დამთავრდა და სასამართლოს გადაეცა.

◇

კრებები

— დღეს, საღამოს 8 საათზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (აუდიტ. № 86) რუსთაველის ინსტიტუტი მართავს საჯარო სხდომას. მოხსენებას გააკეთებს პროფ. იუსტ. აბულაძე თემაზე: „ვეფხის-ტყაოსნის უძველესი უნიკუმის აშკარა ვალი" (პროფ. ა. შანიძის წერილის გამო).

◇

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

ლენინიზმის კაბინეტი — 29 იანვარს კონსულტაცია თემაზე: „ლენინ-სტალინის მოძღვრება ერთ ქვეყანაში სრული კომუნისტური საზოგადოების აშენების შესაძლებლობის შესახებ". საღამოს 7 საათზე.

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრის პროცესი". საღამოს 7 საათზე.

ალკკ კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „სტალინური კონსტიტუცია და მუშათა კლასის დიქტატურის განმტკიცება". საღამოს 7 საათზე.

○

— კიროვის რაიკომის პარტკაბინეტი იუწყება, რომ დღეს, საღამოს 7 საათზე, პარტკაბინეტის შენობაში გაიმართება აგიტკოლექტივების მორიგი მეცადინეობა შემდეგ საკითხებზე: 1. ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრის პროცესი; 2. მოკლე ცნობები ჩინეთის შესახებ. მცირერიცხოვანი ორგანიზაციების (არტელები, მაღაზიები და სხვ.) აგიტატორთა დასწრება სავალდებულოა.

— საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს ამხ. გრიგოლ სერაფიონის-ძე ენდელაძეს და ბორის ვლადიმერის-ძე დიაკონიძეს გამოცხადდნენ ამხ. ბარსეგოვასთან (ძერჟინსკის ქ. 8, მეორე სართული, ოთახი № 48).

— კიროვის პარტრაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1503034 გაცემული გასულ წელს კიროვის პარტრაიკომის მიერ ვლადიმერ გიორგის-ძე სალარიშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

— 26 კომუნარის რაიკომის პარტკაბინეტში დღეს, საღამოს 7 საათზე, პარტიული და კომკავშირული აქტივისათვის გაიმართება მოხსენება თემაზე: „პუშკინი —თავისუფლების მომღერალი, თვითმპყრობელობის მსხვერპლი". მომხსენებელია ბესო ჟღენტი.

კონკურსი საუკეთესო სახელმძღვანელოზე

საქ. განსახკომის ბრძანება

ვაფასებ რა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანბანის, ანბანის შემდეგ საკითხავი წიგნის და ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოების შემდგომ გაუმჯობესებას, ხოლო მეცხრე-მეათე კლასებისათვის ქართულ ლიტერატურაში ყოველმხრივ გამართულ სახელმძღვანელოს შედგენის საქმეს, ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს კონკურსი საუკეთესო სახელმძღვანელოების შედგენაზე: ა) ანბანის და ანბანის შემდეგ საკითხავ წიგნზე ქართული სკოლის პირველ კლასისათვის, ბ) ქართული ენის გრამატიკაზე ქართულ სკოლების მე-5, 6 და 7 კლასებისათვის და გ) ქართულ ლიტერატურის სახელმძღვანელოზე მეცხრე და მეათე კლასებისათვის (მე-19 და მე-20 საუკ. მწერლობა).

2. საკონკურსოდ წარმოდგენილ საუკეთესო სახელმძღვანელოზე, დაწესდეს შემდეგი პრემია:

	1 პრემია:	2 პრემია:
1. ანბანზე და ანბანის შემდეგ საკითხავ წიგნზე.	10.000 მან.	5000 მან.
2. ქართული ენის გრამატიკაზე	10.000 მან.	5000 მან.
3. ქართულ ლიტერატურის სახელმძღვანელოზე (მე-19 საუკ.)	10.000 მან.	5000 მან.
4. ქართულ ლიტერატურის სახელმძღვანელოზე (20 საუკ.)	10.000 მან.	5.000 მან.

3. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ყველა მსურველს, როგორც ინდივიდუალურად, ისე კოლექტიურად (ავტორთა ჯგუფს, სკოლებს, ინსტიტუტებს და სხვ.).

4. საკონკურსო სახელმძღვანელოებს წარმოდგენის ვადა განისაზღვრის:

1. ანბანის და ანბანის შემდეგ საკითხავი წიგნის—1937 წლის პირველი ივნისისათვის.
2. ქართული ენის გრამატიკის — 1937 წ. 15 სექტემბრისათვის.
3. ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოს (მე-19 საუკ. 9 და 10 კლასებისათვის). 1937 წლ. 15 სექტემბრისათვის.
4. ქართ. ლიტერატურის სახელმძღვანელოს (მე-9 და 10 კლასებისათვის, მე-20 საუკ.) 1937 წლის 15 სექტემბრისათვის.

5. სახელმძღვანელოები შეიძლება კონკურსზე წარმოდგენილ იქნას ავტორის სახელის და გვარის აღნიშვნით ან დევიზით, ყდაზე წარწერით —„კონკურსისათვის".

6. განსახკომის დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოებს ვავალებ ა.-წ. 5 თებერვლამდე უზრუნველყონ იმ პრინციპულ დებულებების გამოქვეყნება, რომელთა საფუძველზე უნდა შესდგეს თითოეული საკონკურსო სახელმძღვანელო.

7. საკონკურსო სახელმძღვანელოები წარმოდგენილ იქნას განსახკომში (თბილისი, რუსთაველის გამზირი, № 31), განათლების სახალხო კომისრის სახელზე.

განათლ. სახკომისარი ქ. ჭკუასელი

დაწყ. სკოლ. სამმართვ. უფროსი გოგუაძე

◇ ◇ ◇

გორის ახალი თეატრი

არქიტექტორ შ. თავაძისა და მ. ჩხიკვაძის შედგენილი პროექტი გორის თეატრისა დაამტკიცა საქართველოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს სამეცნიერო-ტექნიკურმა საბჭომ. თეატრის მშენებლობისათვის გადადებულია ორი მილიონი მანეთი. მშენებლობა უნდა დამთავრდეს ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავისათვის.

გორის ახალი თეატრი 500 მაყურებელს დაიტევს. თეატრი შენდება შოთა რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძის ქუჩების კუთხეში, რომელიც ქალაქის ცენტრალურ ადგილს წარმოადგენს. აქვე იქნება თეატრის ბაღი წიწვიანი მცენარეების ხეივნებით.

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრი

29-I	პრემიერა ალკაზარ
30-I	პრემიერა ალკაზარ

მარჯანიშვილის სახ. თეატრი

29-I წარ. № 92	ძალად ექიმი
30-I წარ. № 93	მზის დაბნელება საქართველოში

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი 6. 7-40, 9-20. 11	ახალი ხმოვანი ფილმი უმზითვო პატარძალი რეჟ. — ი. პროტოზანოვი.
დამკვრელი 6-30, 8, 9-30 11	სასპორტო კომედია მეკარე
კომკავშირელი 6-30,8,9-30,11	ახალი ხმოვ. დოკუმენტ. ფილმი ხალხთა დღესასწაული
რ. ლუქსემბ. დღით და საღ. 6-30,8 30,10-3	მხატვრ. ხმოვ ფილმი პატიმრები
26 კომ. სახ. 6-30. 8-30. 10-30	ხმოვ. მხატვრული ფილმი პირველი ოცეული
ახალი ამბები 6-30	საბჭ. ხელოვნება № 6, ხმოვ. ჟურნ. № 57 და 58.

ა-ქ. რკ. გზის საექიმო-სანიტარო განყ. ა-წ. 1-ლ თებერვალს ხსნის ბავშთა პოლიკლინიკას კამოს ქ. № 82. თბილისის კვანძის რკ. გზელების ბავშვების მაცხოვრებელთა საექიმო მომსახურეობისათვის. 16746

29, 30, 31 იანვარი.
ყველამ უნდა ნახოს პრემიერა
მესიკ-კოლი-ს
დაწვრილებით აფიშებში. 50 2—2 დასაწყისი საღამოს 9 ს.

დღეს, 29 იანვარს და ყოველდღე
კიო
სახცირკი ტელ. 3-11-44
გასტროლები—თავისი 25 ასისტენტით
და აგრეთვე მთელი დასი. დასაწყისი 8-30 წ.
პროგრამის მეორე ციკლი—ახალი პროგრამა, ახალი გასტროლიორები. სალარო ღიაა 12 ს. 2 საათამდე და 5 ს. 10—7

საქართველოს სსრ ყველა ავტომეურნეობის საყურადღებოდ ცხადდება, რომ
გლავრეზინის საქართველოს კანტორის შინების სარემონტო თბილისის სახელოსნო შეუდგა ხელშეკრულებათა დადებას ავტოფეხსაცმლის რემონტზე 1937 წ.
ხელშეკრულებათა დადების ვადაა თბილისისათვის 5 თებერვლამდე, სხვა ქალაქებისათვის—15 თებერვლამდე. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სახელოსნოს კანტორაში დილის 9 ს-დან 3 ს-მდე: თბილისი, საბურთალო, საქართველოს სამხედრო გზა № 50.
16744 დირექცია.

სახუნივერსიტეტის მუშათა ფაკულტეტთან
1 თებერვლიდან იხსნება
უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად
მოსამზადებელი 5-თვიანი კურსები.
პირობების გაგება შეიძლება მუშფაკში, რიყის ქ. № 2, დილის 10—2 საათამდე, საღამოს 7—10 საათამდე.
1503 მუშფაკის დირექცია.

განსახკომის უმაღლეს სასწავლებელთათვის მოსამზადებელი კურსები ხსნის ახალ ჯგუფს.
პირობების გაგება: საბჭოს ქ. № 75, მე-29 სკოლა, მეორე სართული. 16743

საქ. კ.პ. (ბ) ზემო სვანეთის რაიკომი და რაიაღმასკომი მწუხარებით იუწყებიან რაიაღმასკომის თანამშრომლის საშა გაზდელიანის გარდაცვალებას. დასაფლავება 30 იანვარს მესტიაში.

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16 გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67, სამდივნოსი: 3—06—88. განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო-სამეურნეო—3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, ღამის რედაქტორის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის —3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68. მთავლიტის რწმუნებული 3—8511